ადამიანის უფლებები საქართველოში

2021

სარჩევი

შესავალი 2

1. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება 6

2. გამოხატვის და მედიის თავისუფლება 12

3. პირადი ცხოვრების უფლება 18

4. საარჩევნო უფლება (2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები) 20

5. თანასწორობა და რელიგიის თავისუფლება 22

6. ბავშვთა უფლებები 26

7. პანდემია და ადამიანის უფლებები 28

8. სამართლიანი სასამართლოს უფლება და მართლმსაჯულება 32

9. პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები 37

10. პოლიტიკური პროცესების გავლენა ადამიანის უფლებებზე 45

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში განხილულია ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საქართველოში 2021 წელს არსებული მდგომარეობა. დოკუმენტში თემატურად მიმოხილულია ამ წლის ის ძირითადი მოვლენები და შემთხვევები, რომელიც წარმოაჩენს, თუ რამდენად ასრულებს საქართველოს ხელისუფლება თავის ვალდებულებებს ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის სფეროებში.

ანგარიშში აღწერილი მოვლენებიდან გამომდინარე, საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა 2021 წელს მკვეთრად გაუარესებულია. კერძოდ, მმართველ პარტიას მითვისებული აქვს ფაქტობრივად ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი და ქვეყანაში ძლიერდება ავტორიტარიზმის ტენდენციები, რომლის საწინააღმდეგოდ არჩევნები - როგორც მთავარი დემოკრატიული მექანიზმი, უძლურია. ძალაუფლების შესანარჩუნებლად ხელისუფლება არ ერიდება არც ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევებს და არც ურთიერთობის გაურესებას საერთაშორისო პატნიორებთან, რაც ქვეყნის დემოკრატიული წინსვლის პერსპექტივას მნიშვნელოვნად ასუსტებს. შედეგად საზოგადოებაში ისედაც მწვავე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარების ფონზე ძლიერდება ნიჰილიზმი, ხოლო ევროატლანტიკურ სივრცეში ფორმალური თუ ღირებულებითი ინტეგრაციის შესაძლებლობა კიდევ უფრო მკრთალი ხდება.

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება 2021 წელს კვლავ არ იყო სათანადოდ დაცული არც პრაქტიკაში და არც საკანონმდებლო დონეზე. კერძოდ, 2021 წლის 5 ივლისს ხელისუფლებამ არ ან ვერ დაიცვა ლგბტ+ თემის წევრები და მხარდამჭერები სიძულვილის ჯგუფებისაგან, რომლებმაც ძალადობრივად ჩაშალეს „თბილისი პრაიდის“ მიერ დაგეგმილი „ღირსების მარში“. შესაბამისად, სახელმწიფო აგრძელებს თავისი ვალდებულების უგულებელყოფას და არ უზრუნველყობს ლგბტ+ თემის მიერ შეკრების თავისუფლებით სარგებლობას მშვიდობიან გარემოში. თუკი სექსუალური უმცირესობის შემთხვევაში ხელისუფლება არ (ან ვერ) ახდენს შეკრების თავისუფლების დარღვევის პრევენციას, იგი თავად ლახავს სამოქალაქო აქტივისტებისა და დემონსტრანტების შეკრების თავისუფლებას. კეძოდ, 2021 წელს გაძლიერდა სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ რეპრესია, რომელიც გამოიხატა სხვადასხვა აქციის მონაწილეთა უკანონო დაკავებებითა და მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრებით. დემონსტრანტების კრიტიკის ჩასახშობად როგორც სამართალდამცავი ორგანოები, ისე სასამართლოები იყენებენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა თანამედროვე სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, პარლამენტმა, კოდექსის რეფორმის ნაცვლად, გაამკაცრა სანქციები მის ყველაზე პრობლემურ მუხლებში. გარდა ამისა, პარლამენტმა მიიღო „ამნისტიის შესახებ“ კანონი, რომელიც გაავრცელა იმ სამართალდამცავებზე, რომლებმაც 2019 წლის 19-20 ივნისს უხეშად დაარღვიეს დემონსტრანტთა შეკრების თავისუფლება.

ხელისუფლება 2021 წელსაც ებრძოდა კრიტიკულ აზრს. გამოხატვის თავისუფლების კუთხით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისია არაერთხელ ჩაერია

(კრიტიკული) მედიის თავისუფლებაში. კერძოდ, უხამსობისა და არასრულწლოვნებისთვის საზიანო გადაცემების, აგრეთვე პოლიტიკური რეკლამების ეთერში განთავსების საბაბით კომისიამ არაერთი მაუწყებელი სამართალდამრღვევად ცნო, რაც რეალურად წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივ და არაკონსტიტუციურ შეზღუდვას. მან მაუწყებლებს პოლიტიკური რეკლამების განთავსებისათვის სოლიდური ჯარიმა დააკისრა, რაც მიზნად ისახავდა მედიის სარედაქციო პოლიტიკის კონტროლს. გარდა ამისა, საგანგაშოა მედიის წარმომადგენლებზე განხორციელებული ფიზიკური და სიტყვიერი თავდასხმები, მათ შორის კი ყველაზე მასშტაბური იყო 2021 წლის 5 ივლისს მომხდარი ძალადობა, როდესაც სიძულვილის ჯგუფები ფიზიკურად გაუსწორდნენ მედიის ათეულობით წარმომადგენელს და დააზიანეს მათი აღჭურვილობა. ხელისუფლება არათუ არ ახდენს ჟურნალისტებზე ძალადობის პრევენციას, აღკვეთასა და სათანადოდ დასჯას, არამედ თავად ახალისებს აგრესიას კრიტიკული მედიის წინააღმდეგ მიმართული განცხადებებით. ბოლოს, გამოხატვის თავისუფლების ხარისხს საფრთხეს უქმნის „უარყოფითი დამოკიდებულების“ და „სიძულვილის ენის“ შემცველი პოლიტიკური რეკლამების/სააგიტაციო მასალის აკრძალვის მიზნით პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა და ინიცირებული კანონპროექტი, რომელიც წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელ შინაარსობრივ შეზღუდვას და არღვევს საერთაშორისო და კონსტიტუციურ სტანდარტებს.

2021 წელს გავრცელდა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სხვადასხვა პირების მასშტაბური და უკანონო ფარული მიყურადების შესახებ. პროკურატურამ და სასამართლომ მიყურადების მსხვერპლებს არ მიანიჭეს დაზარალებულის სტატუსი. შესაბამისად, ხელისუფლებას არ ჰქონია სათანადო რეაქცია პირადი ცხოვრებისა და კომუნიკაციის უფლების შელახვის შემთხვევებზე. ხელისუფლებას ასევე არ აქვს ნება, რომ შეცვალოს და გააუმჯობესოს მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც არღვევს საერთაშორისო და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს და უკანონო მიყურადებისა და მსგავსი ტიპის, ფარული საქმიანობისგან რეალურად არ იცავს პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებს.

2021 წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, რადგან, პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმების თანახმად, თუ „ქართული ოცნებას“ პროპორციული წესით მხარს არ დაუჭერდა ამომრჩეველთა 43%, მაშინ წლის ბოლომდე დაინიშნებოდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. სამწუხაროდ, როგორც წინასაარჩევნო, ისე საარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა არაერთი სერიოზული დარღვევა, რომლებმაც ეჭვქვეშ დააყენეს არჩევნებისათვის სამართლიანი, თავისუფალი და თანასწორი გარემოს არსებობა და შეასუსტეს საბოლოო შედეგის მიმართ ნდობა.

მწვავე გამოწვევად რჩება როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების მიერ უმცირესობათა მიმართ დისკრიმინაცია და ტოლერანტობის დაბალი ხარისხი. თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპების საწინააღმდეგოდ, საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ბაზაზე ეროვნული უმცირესობების

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნა მიანიშნებს, რომ პარლამენტი ეთნიკური უმცირესობის წევრ მოქალაქეებს დიასპორად განიხილავს და მათ მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს. პრობლემურია ასევე ხელისუფლების დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობის მიმართაც. წელს ადგილი ჰქონდა ლგბტ+ თემის წევრებზე სიძულვილით მოტივირებულ არაერთ თავდასხმას, მათ შორის კი ყველაზე მასშტაბური იყო 2021 წლის 5 ივლისს რადიკალური ჯგუფების მიერ „ღირსების მარშის“ ძალადობრივი დარბევა. აღნიშნულ თავდასხმებზე ხელისუფლებას არათუ არ ჰქონია ეფექტიანი რეაგირება, არამედ მისმა წარმომადგენლებმა თავად წაახალისეს ჰომოფობია თავიანთი განცხადებებით. გარდა ამისა, საყურადღებოა სახელმწიფოს მიდგომა რელიგიური უმცირესობების მიმართაც. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში ადგილობრივი მუსლიმების მიერ სალოცავის მოსაწყობად შენობის შეძენას 2021 წლის იანვარში მოჰყვა ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის დაპირისპირება, რომლის მსგავსი ისლამოფობიური/თურქოფობიური კონფლიქტები გასულ წლებშიც დაფიქსირდა. თითქმის არცერთ შემთხვევაზე არ ყოფილა სახელმწიფოს სათანადო რეაგირება. პირიქით, რელიგიურ უმცირესობების თანასწორობის უფლებას თავად ხელისუფლება არღვევს. მაგალითად, სახელმწიფომ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა დროებით მოხსნა 1 და 7 იანვარს (შობას), აგრეთვე აღდგომას, თუმცა იგივე არ გააკეთა იმ დღეებში, როდესაც მსგავს დღესასწაულებს (თუმცა სხვა თარიღებში) არადომინანტი რელიგიური და ეთნიკური ჯგუფები აღნიშნავდნენ.

დისკრიმინაციული კომენდანტის საათის გარდა, პანდემიის მართვის პროცესში ხელისუფლებამ სხვადასხვა სახით გამოიჩინა შერჩევითი სამართლიანობა. შერჩევითი მიდგომის თვალსაჩინო მაგალითია 2021 წლის 7 აგვისტოს პრემირ მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის დასწრება „ქეიფზე“ მაშინ, როდესაც აკრძალული იყო სოციალურ ღონისძიებებთან დაკავშირებით 10-ზე მეტი პირის თავშეყრა. შერჩევით სამართლიანობას ასევე წარმოადგენდა კანონით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან პანდემიის საწინააღმდეგო რეგულაციების დამრღვევი მხოლოდ იმ პირების გათავისუფლება, რომელთა მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი თარიღდებოდა 2021 წლის 23 ივნისამდე და არ იყო აღსრულებული 9 სექტემბრის მოცემულობით. შესაბამისად, აღნიშნული პირები, თანასწორობის უფლების საწინააღმდეგოდ, აღმოჩნდნენ პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმ პირებთან შედარებით, რომლებსაც ანალოგიური ქმედებებისთვის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან სახდელი გადახდილი ჰქონდათ. გარდა ამისა, პანდემიის მართვა პრობლემური იყო იმდენად, რამდენადაც, კონსტიტუციის დარღვევით, პანდემიის საწინააღმდეგო რეგულაციები თავიანთი სიმძიმის გამო უტოლდებოდა დე ფაქტო საგანგებო მდგომარეობას, განსაზღვრული იყო მთავრობის რეგულაციითა და არა კანონით და ეწინააღმდეგებოდა თანაზომიერების კონსტიტუციურ სტანდარტს.

2021 წელს არ გამოსწორებულა ვითარება მართლმსაჯულების სისტემაში. 19 აპრილს ევროკავშირის მედიაციით მიღწეული შეთანხმებისა და საერთაშორისო პარტნიორების მოწოდების მიუხედავად, სასამართლო სისტემაში ძირეული რეფორმების გატარების გარეშე გაგრძელდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და პარლამენტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცესი, ასევე არ შეჩერებულა თავად საბჭოს

წევრების არჩევა. შედეგად, თანამდებობებზე დაინიშნენ ისეთი პირები, რომელთა კომპეტენცია, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა საეჭვოა ე.წ. „კლანთან“, ანუ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან მათი კავშირის გამო. შესაბამისად, მართლმსაჯულების სისტემა კვლავ პოლიტიზირებულია.

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს არარსებობის პირობებში არ არის გასაკვირი, რომ 2021 წელსაც მიმდინარეობდა პოლიტიკურად მოტივირებული სამართალწარმოება. 2021 წლის 23 თებერვალს, სასამართლოს მიერ გირაოს შეცვლის შემდეგ, სამართალდამცავები შეიჭრნენ მთავარი ოპოზიციური პარტიის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისში და პარტიის ლიდერი, ნიკა მელია ძალის გამოყენებით დააკავეს. ნიკა მელიას დაკავებამ გამოიწვია უმწვავესი კრიტიკა საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე და კიდევ უფრო გააღრმავა პოლიტიკური კრიზისი. ანალოგიურად, პოლიტიკურად მოტივირებული იყო თავდაცვის ყოფილი მინისტრისა და ტელეკომპანია „ფორმულას“ დამფუძნებლის, დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ საქმე. კერძოდ, ქვედა ინსტანციის სასამართლოების გამამართლებელი განაჩენების შემდეგ უზენაესმა სასამართლომ კეზერაშვილი დამნაშავედ ცნო. თავდაცვის სამინისტრომ ამის შემდეგ, კეზერაშვილის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელი შეიტანა, რაც სამოქალაქო სექტორმა კრიტიკულ მედიაზე ზეწოლად მიიჩნია. გარდა ამისა, პოლიტიკურად მოტივირებულია ქვეყნის მესამე პრედიზენტის, მიხეილ სააკაშვილის, წინააღმდეგ მიმდინარე საქმეები და პატიმრობა. პროტესტის ნიშნად, სააკაშვილმა შიმშილობა დაიწყო. ექსპერტების რეკომენდაციების მიუხედავად, იგი გადაიყვანეს არა მულტიპროფილურ ჰოსპიტალში, არამედ პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც მასზე განხორციელდა ფსიქოლოგიური ზეწოლა და სადაც არ იყო მოშიმშილე სააკაშვილის მკურნალობისათვის სათანადო პირობები. შესაბამისად, იგი დაექვემდებარა დამამცირებელ, არაადამიანურ მოპყრობას. გარდა ამისა, მას, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევით, რამდენჯერმე არ მისცეს სასამართლო პროცესებზე დასწრების შესაძლებლობა.

2021 წელს სერიოზული პრობლემა იყო საპატრიარქოს დაქვემდებარებულ ნინოწმინდის პანსიონში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა. პანსიონში ფიქსირდებოდა არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევის შემთხვევები. მიუხედავად ამისა, სოციალური მუშაკი და სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფი პანსიონში რამდენჯერმე არ შეუშვეს, რაზეც სახელმწიფოს არ ჰქონია სათანადო რეაგირება. სასამართლოს 5 ივნისის გადაწყვეტილებით, დაწესებულება დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა თითოეულ ბავშვს, მაგრამ, 12 ნოემბრის მონაცემებით, პანსიონში რჩებოდა 15 აღსაზრდელი.

2021 წელს უკიდურესად დაძაბული იყო პოლიტიკური ვითარება. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამო ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არსებული კრიზისის დასაძლევად ევროკავშირის შუამავლობით რამდენჯერმე გაიმართა მოლაპარაკება. საბოლოოდ, მხარეებს შორის 19 აპრილს დაიდო პოლიტიკური შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა, მათ შორის, სასამართლოს რეფორმასა და ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, თუ „ქართული ოცნება“ ადგილობრივი თვითმმართველობის

არჩევნებზე ვერ მოიპოვებდა პროპორციული საარჩევნო ხმების 43%-ს. შეთანხმების მიუხედავად, ხელისუფლებამ, როგორც ითქვა, რეფორმების გარეშე გააგრძელა მოსამართლეთა დანიშვნა, საბოლოოდ კი შეთანხმებიდან გამოვიდა. შედეგად, უფრო დაიძაბა პოლიტიკური ვითარება და შეფერხდა ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისა და დემოკრატიული განვითარების პროცესები. ამასთან, ამ კრიზისმა ყურადღების მიღმა დატოვა კოვიდ-პანდემიის სწორად მართვის საკითხი, რამაც სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენა მოსახლეობის ჯანმრთელობა და ეკონომიკური კეთილდღეობა.

1. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

1.1 5 ივლისს „ღირსების მარშის“ დარბევა

LGBTQI+ თემის წევრებსა და აქტივისტებს 2021 წელსაც ჰქონდათ მცდელობა, ესარგებლათ შეკრების თავისუფლებით. სწორედ ამ მიზნით “თბილისი პრაიდმა“[1] სხვა ორგანიზაციებთან და მხარდამჭერებთან ერთად ე.წ. პრაიდის კვირეულის ფარგლებში დაგეგმა დოკუმენტური ფილმის ჩვენება, მუსიკალური ფესტივალი და „ღირსების მარში“[2], ხოლო გეგმის შესახებ შეხვედრებისას დეტალური ინფორმაცია წინასწარ მიაწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროსაც[3]. პრაიდის კვირეულის დაანონსების შემდეგ ჰომოფობიური პოზიციები დააფიქსირეს პრო-რუსული და ძალადობრივი ჯგუფების წარმომადგენლებმა, რომლებიც წინასწარ იმუქრებოდნენ, რომ ჩაშლიდნენ აქციას და აქტივისტებს არ მისცემდნენ მარშის გამართვის უფლებას.[4] მათ თავდასხმის მცდელობები 1-ელ და 3 ივლისსაც ჰქონდათ კინოჩვენებისა და ფესტივალის მიმდინარეობისას[5].

5 ივლისს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, მარშს მიზანშეუწონელი უწოდა და განაცხადა, რომ LGBTQI+ თემის მსვლელობა არ უნდა ჩატარებულიყო[6], რამაც ფაქტობრივად წაახალისა ძალადობრივი ჯგუფები. 5 ივლისს კონტრ-დემონსტრანტებმა დაარბიეს „სირცხვილიას“ ოფისის სადარბაზო,[7] სცემეს ტვ-პირველის ოპერატორ ლექსო ლაშქარავას, რომელიც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.[8] მიმდებარე ადგილებში მხოლოდ რამდენიმე პოლიციელი იმყოფებოდა, რომლებიც ვერ ან არ აკავებდნენ ძალადობრივ შემოტევებს.[9] ძალადობრივმა ჯგუფებმა დაარბიეს „თბილისი პრაიდის“ ოფისი. აძვრნენ ოფისის აივანზე, დახიეს დროშა, დალეწეს საოფისე ინვენტარი.[10] მას შემდეგ, რაც

---

[1] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 05.07.21 მარში ღირსების გარეშე, 2021, გვ. 5, იხ: https://gdi.ge/uploads/other/1/1384.pdf [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].

[2] https://cutt.ly/FTC5kZI [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].

[3] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 05.07.21 მარში ღირსების გარეშე, 2021, გვ. 5-6.

[4] https://cutt.ly/tYg8LPJ [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021]; საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 05.07.21 მარში ღირსების გარეშე, 2021, გვ. 7-9.

[5] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 05.07.21 მარში ღირსების გარეშე, 2021, გვ. 10-12.

[6] https://cutt.ly/ETC5zhW [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021]; https://www.facebook.com/watch/?ref=external&v=560870338408406 [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].

[7] https://www.facebook.com/publika.ge/videos/2874940366060197/ [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].

[8] https://netgazeti.ge/news/553547/ [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].

[9] https://www.facebook.com/publika.ge/videos/2874940366060197/ [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].

[10] https://www.radiotavisupleba.ge/a/31341554.html [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].

„თბილისი პრაიდის“ წევრებმა და სხვა ორგანიზატორებმა გაეროს ოფისში გადაინაცვლეს, ძალადობრივმა ჯგუფებმა მალევე მოახერხეს მის ირგვლივ მობილიზება და აქტივისტები, თავის დაღწევის მიზნით, იძულებული გახდნენ „ადამიანის უფლებათა სახლში“ გაქცეულიყვნენ[11]. მოძალადეებმა მათ აქაც მიაგნეს. სიძულვილის ჯგუფის წარმომადგენლებმა მალევე ოფისში ასაფეთქებელი ნივთიერება შეაგდეს, რასაც იქ მყოფთა მღელვარება და ერთ-ერთი აქტივისტის ფიზიკური დაზიანებაც მოჰყვა.[12] 5 ივლისს განვითარებული მოვლენების შედეგად ასევე დაშავდა მედიის სულ მცირე 53 წარმომადგენელი.[13] „თბილისი პრაიდმა“ გაავრცელა განცხადება, რომლითაც „ღირსების მარშის“ ჩაშლა დაადასტურა. მიზეზად დასახელდა წახალისებული ძალადობა და ადამიანის სიცოცხლის რისკის ქვეშ დაყენება.[14]

ეს ყველაფერი ცხადჰყოფს, რომ 2021 წლის 5 ივლისს ხელისუფლებამ არ უზრუნველყო LGBTQI+ თემის წევრების, მხარდამჭერების, აქტივისტებისა და მედიის წარმომადგენლების ეფექტური დაცვა ძალადობრივი ჯგუფებისაგან. რაც კიდევ უფრო მეტად საგანგაშოა, ხელისუფლებამ არა მხოლოდ არ მიიღო ეფექტური თავდაცვითი და პრევენციული ზომები, არამედ თავად წაახალისა ძალადობა და აგრესია „ღირსების მარშის“ საწინააღმდეგოდ მიმართული ჰომოფობიური, ანტიდემოკრატიული განცხადებებით, რითაც დაარღვია გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვასთან დაკავშირებით დადგენილი პოზიტიური ვალდებულება. შსს-ს ოფიციალური მონაცემების თანახმად, 5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით „დაკავებულია 31 პირი, საიდანაც, 27 პირი დაკავებულია ჟურნალისტებზე თავდასხმისა და ძალადობის საქმეზე, 3 პირი "თბილისი პრაიდის" ოფისზე თავდასხმის ფაქტზე, ხოლო, 1 პირი მოქალაქეზე თავდასხმის ფაქტზე“[15]. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით პოლიციას არ დაუკავებია არც ერთი ორგანიზატორი. 5 ივლისს დაზარალებულ აქტივისტთა ინტერესებს GDI იცავს და ამზადებს სარჩელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოებისთვის . 5-6 ივლისს განვითარებული მოვლენების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ GDI-ს ანგარიში.

1.2 საპროტესტო აქციები სხვადასხვა დაწესებულებებთან

2021 წლის განმავლობაში მთავრობის წინააღმდეგ აქტივისტებმა არაერთი აქცია გამართეს, მათი უმრავლესობა გამოირჩეოდა სამოქალაქო ატივისტთა დაკავების მასშტაბურობით და სახელმწიფოს რეპრესიული პოლიტიკით. შესაბამისად, ქვემოთ აღწერილია ხელისუფლების მიერ შეკრების თავისუფლების შელახვის მხოლოდ რამდენიმე თვალსაჩინო შემთხვევა.

2021 წლის 19 და 21 თებერვალს პოლიციამ დააკავა მშვიდობიანი სამოქალაქო აქტივისტები, რომლებმაც პარლამენტის წინ კარვების გაშლა სცადეს, მაშინ, როდესაც

[11] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 05.07.21 მარში ღირსების გარეშე, 2021, გვ 13.
[12] https://netgazeti.ge/news/552305/ [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[13]https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/88604-dashavebuli-zhurnalistebis-sia [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021]; https://bit.ly/3FpfCpA [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[14] https://www.facebook.com/TiflisPride/posts/1157851558052362 [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[15] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 17 აგვისტოს საპასუხო წერილი.

საქართველოს კანონმდებლობა არ კრძალავს კარვის გაშლას[16] და ეს არაა პირველი შემთხვევა, როდესაც პოლიცია უზღუდავს მანიფესტანტებს პროტესტის ამგვარი ფორმით გამოხატვას[17].

14 აპრილს, "ქართული ოცნების" ოფისთან მიმდინარე აქციაზე, პოლიციამ ხუთი აქტივისტი დააკავა, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისთვის დაწესებული 5-დღიანი კარანტინის გაუქმებას ითხოვდნენ. შსს-მ მათ წინააღმდეგ სამართალწარმოება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებით დაიწყო.[18] ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად პოლიციის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააკავეს გიორგი მუმლაძე, რომელსაც 2-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.[19]

საპროტესტო აქციები 12 აპრილს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციულ შენობასთანაც გაიმართა, სადაც პოლიციამ ძალა გამოიყენა. აღნიშნულ აქციასთან დაკავშირებით აქტივისტებმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიმართეს, რომელმაც შეკრების მონაწილეების მიმართ განხორციელებული სავარაუდო ძალის გადამეტების ფაქტზე გამოძიება დაიწყო. [20]

2021 წლის 3 ივნისს, საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან გაიმართა აქცია ნინოწმინდის ბავშვთა სახლის გარშემო განვითარებულ მოვლენების გასაპროტესტებლად. აქტივისტი გიგა მაქარაშვილი შეკრების კონსტიტუციური უფლებით სარგებლობისას ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დააკავა პოლიციამ. მიუხედავად იმისა, რომ მას არ გაუწევია რაიმე წინააღმდეგობა,[21] სამართალდამცავებმა დაკავების დროს მას მოტეხეს ხელი და მიაყენეს ფიზიკური დაზიანებები[22], თუმცა დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარი უთხრეს.[23] ამის საპირისპიროდ, 2021 წლის 10 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლელა ცაგარეიშვილმა გიგა მაქარაშვილი, პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის გამო, ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო და 2000 ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა.[24]

ასევე 12 პირი დააკავეს "ქართული ოცნების" ოფისთან გამართულ აქციაზე 2021 წლის 12 ივლისს. მათ შორის იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი ირაკლი აბსანძე,

---

[16] „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მეორე ნაწილი; https://cutt.ly/mYl0yeX [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[17] https://cutt.ly/mYl0yeX [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[18] https://www.radiotavisupleba.ge/a/31203173.html [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[19] https://cutt.ly/UTC5Kue [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[20] https://www.facebook.com/DPAGeorgiaOfficial/posts/2401131820029649 [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[21] https://www.facebook.com/watch/?v=232762834921997 [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[22] https://www.radiotavisupleba.ge/a/31289083.html [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[23] https://cutt.ly/4Yl3x8C [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[24] https://cutt.ly/dTC5XpE [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].

რომელიც დაკავებისას პოლიციას წინააღმდეგობას არ უწევდა, თუმცა მისი განცხადებით, დაკავებისას მას ხელი მოტეხეს.[25]

პარტიის "გირჩი-მეტი თავისუფლება" აქცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წინ

2021 წლის 16 სექტემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობის წინ პარტიამ "გირჩი-მეტი თავისუფლება" აქცია-პერფორმანსი გამართა, რომლის ფარგლებშიც პარტიის წევრებმა დემონსტრაციულად დააზიანეს მათივე საკუთრებაში არსებული "შკოდას" მარკის ავტომობილი. პოლიციამ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლების საფუძველზე დააკავა პარტიის წევრები და მაჟორიტარობის კანდიდატები საბურთალოსა და დიდუბის ოლქში, ნიკა მოსიაშვილი და ბორის (ჩელე) ყურუა.[26] ბორის ყურუა საქალაქო სასამართლომ სამართალდამრღვევად სცნო და დააკისრა 2000 ლარიანი ჯარიმის გადახდა.[27] ნიკა მოსიაშვილის წინააღმდეგ საქმის წარმოება სასამართლოში გრძელდება.

ოპოზიციური პარტიების მიერ ჩატარებული 10 ნოემბრის აქციები

2021 წლის 10 ნოემბერს ოპოზიციური პარტიების მიერ თბილისში, სხვადასხვა ადმინისტრაციული შენობის წინ იმართებოდა საპროტესტო აქციები. შეკრებების პროცესში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა, საერთო ჯამში, 46 მოქალაქე დააკავეს[28] წვრილმანი ხულიგნობის და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძვლით. 10 ნოემბერს განვითარებულ მოვლენებში ცალსახად გამოიკვეთა საპოლიციო იძულების ღონისძიებების დაუსაბუთებლად და არაპროპორციულად გამოყენების ნიშნები. როგორც მოვლენების თვითმხილველების განმარტებებიდან და მედიაში გავრცელებული კადრებიდან ჩანს, მოქალაქეების ნაწილი სამართალდამცავებმა დააკავეს უშუალოდ მოვლენების ეპიცენტრისგან მოშორებით, რა დროსაც არ იკვეთებოდა კონკრეტული პირების მიერ კანონდარღვევის ან სახელმწიფო უწყებებისთვის ხელშეშლის რაიმე ნიშნები.[29]

 სხვა აქციები:

- 2021 წლის 30 ოქტომბერს, მუნიციპალური არჩევნების მეორე ტურის დღეს, ზუგდიდში, მე-20 საარჩევნო უბანთან, პოლიციამ ძალის გამოყენებით დააკავა 5 ადამიანი, მათ შორის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამკვირვებლები და აქტივისტები - გიორგი მუმლაძე და ნიკა ნარსია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე.[30]

---

[25] https://cutt.ly/qTC5BbV; https://cutt.ly/HYbOEjG [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[26] https://www.radiotavisupleba.ge/a/31463536.html [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[27] https://cutt.ly/9YhqKip [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[28] https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/15032 [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[29] https://cutt.ly/gYheyRU [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[30] https://formulanews.ge/News/59179 [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].

- 1 ნოემბერს ქუთაისში პოლიციამ დააკავა სამოქალაქო აქტივისტები დაუმორჩილებლობისათვის, როდესაც ისინი მერიის წინ აპირებდნენ წარწერის „თავისუფლება მიშას“ გაკეთებას.[31]
- ქუთაისში დაუმორჩილებლობის საფუძვლით ასევე დააკავეს "გირჩი - მეტი თავისუფლების" წევრი და ერთიანი ოპოზიციის ქუთაისის ვიცე-მერობის კანდიდატი იმედა კლდიაშვილი, რომელმაც სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტის სახით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობის შესასვლელის წინ მანქანა გააჩერა უსაფრთხოების სამსახურის მიერ იმ პირზე ზეწოლის გასაპროტესტებლად, რომელსაც, კლდიაშვილის თქმით, არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით ჰქონდა ინფორმაცია.[32]
- 1 ნოემბერს თბილისში ასევე დააკავეს აქტივისტები, რომლებიც პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე აპროტესტებდნენ არჩევნების შედეგებს და მიხეილ სააკაშვილისთვის თავისუფლების შეზღუდვას. პოლიციამ მათ არ მისცა პარლამენტთან კარვების გაშლის შესაძლებლობა და 2 აქტივისტი ადმინისტრაციული წესით დააკავა.[33]
- 21 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან გამართულ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ სავარაუდოდ წიწაკის სპრეი გამოიყენა.[34]

აღსანიშნავია, რომ GDI პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად სამართლებრივ დახმარებას უწევს აქციების დროს დაკავებულ აქტივისტებს. ოქტომბერ-ნოემბერში დაკავებული აქტივისტებიდან სულ მცირე 16 უკვე დაჯარიმდა და 10-ს შეეფარდა პატიმრობა, მხოლოდ ორ საქმეში სცნო ზედა ინსტანციის სასამართლომ პატიმრობა უკანონოდ და მხოლოდ ერთ საქმეზე შეწყდა წარმოება. სხვა საქმეებზე პროცესი კი გადადებულია გაურკვეველი ვადით ან ჯერ არ დასრულებულა.

ამდენად, სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოყენებული მასობრივი დაკავების პრაქტიკა არღვევს მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის უფლებებს; ბოლო პერიოდში აქციების დროს დაკავების შემთხვევების მასშტაბურობა და ამ ეტაპამდე დამდგარი შედეგები (ჯარიმები, პატიმრობა) აშკარად მიუთითებს სახელმწიფოს რეპრესიულ პოლიტიკაზე, ებრძოლოს კრიტიკულ აზრს კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევით; პრობლემურია როგორც აქციებზე (და არამხოლოდ) აქტივისტთა დაკავების კანონიერება, ისე ამგვარი საქმეების განხილვა სასამართლოში, სადაც მოსამართლეები უმეტეს შემთხვევაში არ ხელმძღვანელობენ ადამიანის უფლებათა თანამედროვე სტანდარტებით, არღვევენ დაკავებულ პირთა საპროცესო გარანტიებს და ყოველგვარი

[31] https://formulanews.ge/News/59335[უკანასკნელად ნანახია 07.12.2021]
[32] https://mtavari.tv/news/62589-girchi-meti-tavisuplebis-cevri-imeda-kldiashvili [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[33] https://formulanews.ge/News/59358 [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[34] https://www.radiotavisupleba.ge/a/31584738.html [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].

დასაბუთებისა და შესაბამისი მტკიცებულებების გარეშე უფარდებენ მათ ადმინისტრაციულ სანქციებს.

1.3 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სანქციების გამკაცრება

2021 წლის 29 აპრილს საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით, მესამე მოსმენით[35] მიიღო კანონი, რომლითაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლს (წვრილმანი ხულიგნობა) დაემატა მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც წვრილმანი ხულიგნობის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ამავე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა გამოიწვევს სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 1500 ლარიდან 2000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღიდან 15 დღემდე ვადით. გამკაცრდა ამავე კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ან შეურაცხყოფა) დაწესებული სანქციაც, რაც მოიცავს დაჯარიმებას 3500 ლარიდან 4500 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღიდან 15 დღემდე ვადით (1000-დან 4000 ლარამდე დაჯარიმების ნაცვლად). აღსანიშნავია, რომ დასახელებული ნორმები ყველაზე ხშირად გამოიყენება სამართალდამცავი ორგანოს მიერ საპროტესტო აქციების დროს დემონსტრანტების დასაკავებლად. შესაბამისად, მათი გამოყენებით ადამიანთა შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლებაში თვითნებურად ჩარევის შესაძლებლობა კრიტიკულად მაღალია.[36] აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით, წლის გამავლობაში, აქციების დროს არაერთხელ გამოიყენეს ეს ნორმები და გამკაცრებული სასჯელები.

1.4 ამნისტიის შესახებ კანონი

2021 წლის 7 სექტემბერს პარლამენტმა, შარლ მიშელის შეთანხმებიდან გამომდინარე, „ამნისტიის შესახებ“ კანონი მიიღო.[37] ამნისტიის მიზნად სახელმწიფომ ქართულ პოლიტიკაში პოლარიზაციის შემცირება და 2019 წლის 20 ივნისს საქართველოს პარლამენტის სასახლეში შეჭრის მცდელობის, აგრეთვე აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებებზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების პოლიტიზების პრევენცია დაასახელა. კანონის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, სასჯელისაგან და პირობითი მსჯავრისგან თავისუფლდება ყველა ის პირი, რომელთაც დანაშაული 2019 წლის 19-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით ჩაიდინა და ამნისტიის გავრცელებაზე უარი არ განუცხადებიათ. პირი, ვის მიმართაც ამნისტია გავრცელდება, ნასამართლობის არმქონედ ჩაითვლება.[38]

---

[35] https://www.radiotavisupleba.ge/a/31229882.html [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].

[36] https://cutt.ly/STC5azX [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].

[37] https://cutt.ly/mTC71TR [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021]

[38] საქართველოს კანონი ამნისტიის შესახებ, პირველი მუხლის პირველი ნაწილი
იხ: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5199308?publication=0 [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].

შესაბამისად, „ამნისტიის შესახებ“ კანონი გავრცელდა მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედ სახელმწიფოს წარმომადგენლებზეც, რომლებმაც არსებითად შელახეს 2019 წლის 19-20 ივნისის დემონსტრაციის მონაწილეთა კონსტიტუციური და კონვენციური უფლებები. კანონის გავრცელება გამორიცხულია მხოლოდ იმგვარ დანაშაულებებზე, როგორებიცაა: ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება; წამება; წამების მუქარა; დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა.[39] შესაბამისად, მოცემული კანონის მიღებას დიდი კრიტიკა მოჰყვა, განსაკუთრებით, 20 ივნისის დაზარალებულთა მხრიდან[40].

2. გამოხატვის და მედიის თავისუფლება

2.1 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობა

2021 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას თავისი საქმიანობით არაერთხელ ჰქონდა მცდელობა ჩარეულიყო მედიის თავისუფლებაში, რაც გამოიხატა მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში მაუწყებლების დაჯარიმების ან სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც კომისიამ სამართალდამრღვევად ცნო შპს „მთავარი არხი“ ეთერში გასული ერთ-ერთი სიუჟეტისთვის. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სიუჟეტი პოლიტიკურ სატირას შეიცავდა, კომისიამ ის უხამსობად მიიჩნია და სამართალდამრღვევად ცნო „მთავარი არხი“, თუმცა გაათავისუფლა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან.[41]

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, კომისიის მიერ უხამსობის რეგულირების მიზნით წამოწყებული აქტივობები ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და წარმოადგენს კომისიის მცდელობას ჩაერიოს მაუწყებლის პროგრამების შინაარსში, ვინაიდან კომისიას არ აქვს საკანონმდებლო უფლებამოსილება, განიხილოს უხამსობის შემცველი პროგრამების განთავსების კანონიერება.[42] მიუხედავად ამისა, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ამ დროისთვის უხამსი პროგრამის განთავსების გამო მაუწყებლის სამართალდამრღვევად ცნობისთვის სამი გადაწყვეტილება აქვს მიღებული.[43]

მაუწყებელთა შინაარსობრივი რეგულირების მცდელობად ასევე გვევლინება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილება შეაფასოს, თუ რომელი პროგრამა წარმოადგენს არასრულწლოვნისათვის საფრთხისშემცველს. 2020 წლის 01 სექტემბერს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „ბავშვის უფლებათა კოდექსში“ ამოქმედებული დებულებების თანახმად, მაუწყებელს დაეკისრა ბავშვისთვის

---

[39] საქართველოს კანონი ამნისტიის შესახებ, მეორე მუხლი
იხ: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5199308?publication=0 [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].

[40] http://hotnews.ge/index.php/en/north-america/item/24372-makogomur-amnist [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021]; https://gdi.ge/ge/news/statement-05-05-2021.page [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].

[41] იხ. https://comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2021--21-18-22.page [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[42] იხ. http://mediacoalition.ge/ge/a/ed3ef8d3 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[43] იხ. https://bit.ly/3HWC1fd; https://bit.ly/3nRtYbN; https://bit.ly/3xluVfs [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან არასრულწლოვნის დაცვის ვალდებულება და აეკრძალა მისთვის ზიანის მიმყენებელი პროგრამების განთავსება.[44]

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2021 წელს არაერთხელ გამოიყენა ზემოაღნიშნული უფლებამოსილება და ერთი წლის განმავლობაში 9 გადაწყვეტილება მიიღო, ხოლო აქედან დარღვევა 5 საქმეზე დაადგინა და დააჯარიმა მაუწყებლები.[45]

ზემოაღნიშნული ნორმები, GDI-ის წარმომადგენლობით, გასაჩივრებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში[46], ვინაიდან, GDI-ის შეფასებით, ისინი არაკონსტიტუციურად ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ გამოხატვისა და მედიის თავისუფლებას, მათ შორის არღვევს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნებს, რადგან შეიცავს ბუნდოვან ტერმინებს („შეურაცხმყოფელი ლექსიკა", „უხამსი ქმედება" და ა.შ).[47]

ასევე, საყურადღებოა 2021 წლის საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგის ფარგლებში კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობა. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2021 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც „მთავარ არხს" წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამების კანონდარღვევით გავრცელებისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა.[48] კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება 2021 წლის 29 ოქტომბრის დადგენილებით გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ და განმარტა, რომ „მთავარ არხზე" განთავსებული ვიდეორგოლები (რომლებშიც ფიგურირებდა საქართველოს მესამე პრეზიდენტი) არ წარმოადგენდა წინასაარჩევნო პოლიტიკურ რეკლამას. აღსანიშნავია, რომ ამ ნაწილში საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა „სასამართლო მეგობრის" მოსაზრების ფარგლებში GDI-ს შეთავაზებული პოზიცია.[49] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ოქტომბრის დადგენილება კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც ხელახლა განსახილველად დაუბრუნა საქმე პირველ ინსტანციას, შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა შეიცვალოს.

დამატებით, საყურადღებოა კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც კომუნიკაციების კომისიამ „მთავარი არხი" არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის ეთერში კანონმდებლობის

---

[44] ბავშვის უფლებათა კოდექსის 66-ე მუხლი; „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56^1 და 56^2 მუხლები

[45] იხ. https://bit.ly/3p48RSX; https://bit.ly/3cMdPxJ; https://bit.ly/3r8Pivj; https://bit.ly/3I477lo; https://bit.ly/2ZqNZMU [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[46] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 ივნისის N1/2/1537 საოქმო ჩანაწერი, ხელმისაწვდომია აქ: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11632 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[47] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2020, გვ. 8, იხ. https://gdi.ge/uploads/other/1/1277.pdf [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[48] იხ. https://bit.ly/3cPnW4Z [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[49] იხ. https://gdi.ge/ge/news/sasamartlo-megobris-mosazreba-29-10-2021.page [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

დარღვევით განთავსების გამო, საკმაოდ მაღალი სანქციით - 112 000 ლარით დააჯარიმა.[50] მიღებული გადაწყვეტილება ასევე სცდება კომისიის მანდატს, დაფუძნებულია კომისიის მიერ კანონმდებლობის სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე და არ არის თანაზომიერი ჩარევა მედიის თავისუფლებაში. კომისიის აღნიშნულ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის", რომელმაც განმარტა, რომ „მთავარი არხის" მიმართ სანქციის მაღალი ზღვრის გამოყენების არაერთი ფაქტი მიანიშნებს კომისიის მცდელობაზე ფინანსური ბერკეტების ამოქმედებით დასაჯოს მაუწყებელი და ზეგავლენა მოახდინოს „მთავარი არხის" სარედაქციო პოლიტიკაზე.[51]

2.2 ჟურნალისტებზე და მედიის წარმომადგენლებზე განხორციელებული თავდასხმები და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის ფაქტები

2021 წელი ჟურნალისტებზე და მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმების არაერთი ფაქტით გამოირჩეოდა. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ გაკეთებული დისკრედიტაციული და ძალადობის წამახალისებელი განცხადებებისა და მათი უსაფრთხოების არასათანადო უზრუნველყოფის შედეგად, ჟურნალისტებზე არაერთი ფიზიკური თუ სიტყვიერი თავდასხმა განხორციელდა საზოგადოების მხრიდან.

ამ კუთხით, შემაშფოთებელია 2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენები, როდესაც „ღირსების მარშის" წინააღმდეგ გამართული კონტრაქციის გასაშუქებლად მისული მედიის წარმომადგენლები ძალადობრივი ჯგუფების მასშტაბური თავდასხმის მსხვერპლნი გახდნენ. GDI-ს შეფასებით, „ხელისუფლებამ 5-6 ივლისს დაარღვია ღირსების შემლახავი მოპყრობისგან მედიის წარმომდგენლების დაცვის ვალდებულება და ასევე არ ან ვერ უზრუნველყო მათ მიერ ჟურნალისტური საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელება, რითაც დაარღვია გამოხატვის თავისუფლება."[52]

2021 წლის 5-6 ივლისს განხორციელებული მასშტაბური თავდასხმების გარდა, მედიის (განსაკუთრებით კი კრიტიკული მედიის) წარმომადგენლები არაერთხელ გამხდარან ფიზიკური თუ სიტყვიერი თავდასხმის სამიზნე. მათ შორის, აღსანიშნავია 2021 წლის 25 თებერვალს განხორციელებული თავდასხმა ტელეკომპანია „ფორმულას" ჟურნალისტ ვახო სანაიასა და მის ოჯახის წევრებზე. მიგვაჩნია, რომ ჟურნალისტსა და მის ოჯახზე თავდასხმა არის კრიტიკული მედიის მიმართ მმართველი პარტიის აგრესიული დამოკიდებულების შედეგი, რომელიც „ქართული ოცნების" წევრების მიერ კრიტიკული მედიის წარმომადგენლების შესახებ გაკეთებული განცხადებებითა და ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტებზე არასათანადო რეაგირებით არის გამოწვეული.[53]

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტ ვახო სანაიაზე თავდასხმას მოჰყვა სახალხო დამცველის[54] და არასამთავრობო ორგანიზაციების[55] მოწოდებები სახელმწიფოს მხრიდან

---

[50] იხ. https://bit.ly/3rby6p6 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[51] იხ. https://bit.ly/3lBYt3Q [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[52] იხ. https://bit.ly/32Uz12V [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[53] იხ. http://mediacoalition.ge/ge/a/a4347102 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[54] იხ. https://bit.ly/3cRq2RP [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[55] იხ. http://mediacoalition.ge/ge/a/a4347102 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

მომხდარ დანაშაულზე ადეკვატური რეაგირების თაობაზე, სასამართლომ სამივე ბრალდებულს მინიმალური სასჯელი - 6 თვიანი პატიმრობა შეუფარდა[56]. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება გააკრიტიკა კოალიციამ „მედიის ადვოკატირებისთვის“ და განმარტა, რომ მსგავსი რბილი დამოკიდებულება ჟურნალისტზე ძალადობის ფაქტებზე წარმოადგენს კრიტიკული მედიის მიმართ აგრესიის გაზრდის კიდევ ერთ საფრთხეს.[57]

აღსანიშნავია, რომ GDI-მ, რომელიც დაზარალებულ ვახო სანაიას ინტერესებს იცავს, საქართველოს პროკურატურას მიმართა მოთხოვნით, რომ გაასაჩივროს თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, ვინაიდან, GDI-ს აზრით, სასჯელის ნაწილში გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია.[58] პროკურატურამ გაასაჩივრა განაჩენი სააპელაციო სასამართლოში (სასჯელის ნაწილში), ხოლო საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლო მეგობრის მოსაზრება წარადგინა.

საყურადღებოა, რომ ტელეკომპანია „ფორმულას“ თანამშრომლებზე კიდევ ერთი თავდასხმა განხორციელდა 2021 წლის 9 აპრილს. მაუწყებლის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერთ თანამშრომელს თავდამსხმელები ფიზიკურად გაუსწორდნენ, ხოლო მეორეს - ქონება (ავტომობილი) დაუზიანეს.[59] ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა ხელისუფლებას კვლავ მოუწოდა დროულად და ეფექტურად გამოიძიოს ტელეკომპანია „ფორმულას“ თანამშრომლების მიმართ განხორციელებული თავდასხმები და დააყენოს შესაბამისი პირების პასუხისმგებლობის საკითხი.[60]

ხელისუფლების მტრულ დამოკიდებულებას კრიტიკულ მედიის მიმართ ხაზს უსვამს ქართული ოცნების წევრებსა და „მთავარი არხის“ გადამღებ ჯგუფს შორის 2021 წლის 15 სექტემბერს მომხდარი დაპირისპირებაც. „მთავარი არხის“ ცნობით, ოპერატორი ლევან აბლოთია ჟურნალისტ ბექა ყორშიასთან ერთად ქარელის მერობის კანდიდატზე, ზაზა გულიაშვილზე სიუჟეტს ამზადებდა, როდესაც ოპერატორი „ქართული ოცნების" ქარელის ოფისის მეორე სართულის აივნიდან გადმოაგდეს.[61] როგორც ჟურნალისტი ბექა ყორშია ყვება, „ქართული ოცნების“ წევრები მისვლისთანავე აგრესიულად შეხვდნენ ჟურნალისტსა და ოპერატორს. აღნიშნულ ვერსიას უარყოფენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და, მათი განმარტებით, ოპერატორი თავად გადავარდა კიბის მოაჯირიდან და არა აივნიდან, თუმცა ადასტურებენ გადამღებ ჯგუფსა და შტაბის წევრებს შორის მომხდარ სიტყვიერ დაპირისპირებას.[62] ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლით (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით) დაიწყო.[63]

---

[56] იხ. https://bit.ly/3DTSNtf [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[57] იხ. http://mediacoalition.ge/ge/a/c0cf9f3d [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[58] იხ. https://gdi.ge/ge/news/vaxo-sanaias-mimart-tavdasxma.page [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[59] იხ. https://bit.ly/3p0bsNC [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[60] იხ. https://bit.ly/3CUFE1N [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[61] იხ. https://bit.ly/3Gqf8iY [უკანასკნელად ნანახია 25.11.2021]
[62] იხ. https://bit.ly/3EHEEzO [უკანასკნელად ნანახია 25.11.2021]
[63] იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/31463105.html [უკანასკნელად ნანახია 25.11.2021]

კრიტიკული მედიის წარმომადგენლები არაერთი სიტყვიერი თუ ფიზიკური თავდასხმის მსხვერპლი გახდნენ სასულიერო პირების მხრიდანაც. 2021 წლის 4 მაისს დავით გარეჯში სიუჟეტზე მუშაობისას სასულიერო პირებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს "მთავარი არხის" ჟურნალისტს, ნინუცა კეკელიასა და ოპერატორს, ირაკლი კვარაცხელიას.[64] ამასთან, 2021 წლის 8 მაისს გავრცელდა ვიდეო, სადაც ჩანს, რომ სასულიერო პირების აგრესიის მსხვერპლი გახდა „მთავარი არხის“ კიდევ ერთი ჟურნალისტი, ირაკლი ვაჩიბერიძე, რომელსაც პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს, ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტმა ანტონ ბულუხიამ ჯერ სიტყვიერი, ხოლო შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.[65] სასულიერო პირების მიერ ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტებს განცხადებით გამოეხმაურა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და განმარტა, რომ „სამართალდამცავი უწყების მხრიდან მსგავსი ფაქტების მკაცრი რეაგირების გარეშე დატოვება, ამგვარ ძალადობასა და ჟურნალისტების მუშაობაში ხელის შეშლის შემთხვევებს ახალისებს, რაც მედიაგარემოსთვის ძალიან დამაზიანებელია.“[66]

ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის მცდელობად ასევე გვევლინება საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის, თინათინ ბერძენიშვილის 2021 წლის 9 აგვისტოს ბრძანება საავტორო გადაცემა „კვირის ინტერვიუს“ წამყვანის, ირაკლი აბსანძის, გათავისუფლების შესახებ. საყურადღებოა, რომ ირაკლი აბსანძე ხშირად გამოირჩეოდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებული კრიტიკული განცხადებებით და ის 2021 წლის 12 ივლისს მმართველი პარტიის ოფისთან მიმდინარე საპროტესტო აქციაშიც მონაწილეობდა, რა დროსაც პოლიციამ დააკავა და ხელი მოტეხა[67].

მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი აბსანძის გათავისუფლების ოფიციალურ მიზეზად ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში/არაერთგზის დარღვევა დასახელდა,[68] ტელეწამყვანის გათავისუფლების ფაქტი კოალიციამ „მედიის ადვოკატირებისთვის“ შემდეგნაირად შეაფასა: „ირაკლი აბსანძის გათავისუფლება ქვეყანაში კრიტიკულად გაუარესებულ მედიაგარემოს და წინასაარჩევნო პერიოდს ემთხვევა, რაც კიდევ უფრო აღრმავებს ეჭვებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობის მიმართ. უნდობლობას იწვევს ასევე მაუწყებლის გენერალური დირექტორის ბრძანების სამართლებრივი საფუძვლები და აღნიშნული გადაწყვეტილება შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ჟურნალისტის გათავისუფლება მის კრიტიკულ მოსაზრებებს უკავშირდება.“[69] გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ძალადობრივმა ჯგუფებმა წამყვანის გათავისუფლება არაერთხელ მოითხოვეს - მათ შორის, აღნიშნული მოთხოვნა გაჟღერდა „ალტ ინფოს“ მიერ,[70] რაც კიდევ უფრო მეტად აღრმავებს ეჭვებს ჟურნალისტის გათავისუფლების რეალურ მიზეზებთან დაკავშირებით.

---

[64] იხ. https://bit.ly/3HVifkb [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[65] იხ. https://bit.ly/3xoB9ew [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[66] იხ. https://bit.ly/3oVY9hc [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[67] იხ. https://bit.ly/3EqoVoA [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[68] იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/31403258.html [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[69] იხ. https://gdi.ge/ge/news/media-koalicia-13-08-21.page [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[70] იხ. https://bit.ly/3Esf7dI [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

2.3 "TV პირველის" წინააღმდეგ მიღებული 2021 წლის 9 მარტის განჩინება

2021 წლის 9 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო განჩინება, რომლის საფუძველზეც გაიცა ნებართვა „TV პირველისთვის" კონფიდენციალური წყაროს მიერ გადაცემული მასალების მოსაპოვებლად საგამოძიებო მოქმედების - ამოღების ჩატარების შესახებ.[71]

სასამართლომ აღნიშნული განჩინება მიიღო მას შემდეგ, რაც 2021 წლის 6 მარტს TV პირველის ეთერიდან გავრცელდა აუდიო ჩანაწერი, რომელიც მიუთითებს, რომ განხორციელდა ახალგაზრდების, მათ შორის, არასრულწლოვანი პირების დევნა და მუქარა, მათ მიერ სოციალურ ქსელში ბიძინა ივანიშვილის ვაჟის, ბერა ივანიშვილის წინააღმდეგ სხვადასხვა ფორმით გამოხატული მოსაზრებების გამო. ხოლო ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ამ მუქარების ერთ-ერთი თანამონაწილე შესაძლოა იყოს მოქმედი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.[72]

2021 წლის 9 მარტის განჩინება დაგმო საქართველოს სახალხო დამცველმა, რომელმაც განაცხადა, რომ სასამართლომ არ იმსჯელა იმაზე, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს მსგავსი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამ ჟურნალისტის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის ხარისხზე, რის გამოც, აღნიშნული განჩინება სამართლებრივად დაუსაბუთებლად მიიჩნია. [73] ნიშანდობლივია, რომ საბოლოოდ ამ განჩინების აღსრულება აღარ მომხდარა.

2.4 „უარყოფითი დამოკიდებულების" და „სიძულვილის ენის" შემცველი პოლიტიკური რეკლამების/სააგიტაციო მასალის აკრძალვის მცდელობები

საყურადღებოა, რომ 2021 წლის საარჩევნო პერიოდში, საქართველოს პარლამენტში წარდგენილი იყო საკანონმდებლო ინიციატივები „უარყოფითი დამოკიდებულების" და „სიძულვილის ენის" შემცველი პოლიტიკური რეკლამების/სააგიტაციო მასალის აკრძალვასთან დაკავშირებით.

კერძოდ, 2021 წლის 4 ოქტომბერს კომპანია „ალმამ" საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს და მოითხოვა საკანონმდებლო ცვლილებების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს „საარჩევნო სფეროში სიძულვილის ენის შემცველი, საზოგადოების პოლარიზაციისა და მასში აგრესიის გამომწვევი, არაეთიკური და შეურაცხმყოფელი პოლიტიკური სარეკლამო ბანერების მუნიციპალიტეტებში განთავსების თავიდან აცილებას"[74]. შპს „ალმას" წარმოდგენილ საკანონმდებლო წინადადებას იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა[75].

ამასთან, 2021 წლის 13 ოქტომბერს პოლიტიკური პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" დეპუტატებმა დაარეგისტრირეს კანონპროექტი, რომელიც საარჩევნო კამპანიისას არჩევნებში მონაწილე სუბიექტის მიმართ უარყოფითი

[71] იხ. https://bit.ly/3FOyNbP [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[72] იხ. https://bit.ly/3HUGK0W [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[73] იხ. https://bit.ly/3113KuJ [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[74] იხ. https://parliament.ge/legislation/22870 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[75] იხ. https://bit.ly/3DqQ0GR [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

დამოკიდებულების შემქმნელი სააგიტაციო და სარეკლამო მასალის გავრცელების აკრძალვას მიემართება[76]. ავტორთა ინიციატივით, ცვლილებები უნდა შევიდეს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს საარჩევნო კოდექსში, რომელიც აკრძალავს ისეთი წინასაარჩევნო რეკლამის ან სააგიტაციო მასალის გავრცელებას, რომელიც „გამიზნულია საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების შესაქმნელად“[77].

აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნოდ (მსგავსად წინა არჩევნებისა) ქუჩებში სწორედ ქართული ოცნების არჩევისაკენ ხელშემწყობი ე.წ. „სისხლიანი ბანერები“ განთავსდა, რომელზეც სხვადასხვა ოპოზიციური პარტიი ლიდერები, მათ შორის ყოფილი პრემიერ მინისტრი, გიორგი გახარია იყვნენ გამოსახულნი წარწერით „არა ნაცებს!“, „არა ბოროტებას!“, „არა ღალატს!“

GDI-მ მიიჩნია, რომ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები გამოხატვის თავისუფლების იმგვარ შინაარსობრივ რეგულირებას წარმოადგენს, რომელიც მორალურად და სამართლებრივად დაუსაბუთებელია. GDI-ს შეფასებით, ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები არ მიემართება დაცვის ღირსი ლეგიტიმური მიზნების რეალიზებას და არც არის გამოსადეგი საშუალება დასახული მიზნის მისაღწევად. ამასთანავე, როგორც საკანონმდებლო წინადადების, ისე კანონპროექტის ფარგლებში, უგულებელყოფილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ უფლებრივ სფეროსთან და კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნებთან დაკავშირებით.[78] სწორედ ამის გათვალისწინებით, GDI-მ მიმართა საქართველოს პარლამენტს აღნიშნულ საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებული შენიშვნებით და მოუწოდა, მხარი არ დაუჭიროს წარმოდგენილ კანონპროექტს და საკანონმდებლო წინადადებას.[79]

3. პირადი ცხოვრების უფლება

2021 წლის 13 სექტემბერს, სხვადასხვა მედია საშუალების მეშვეობით, გავრცელდა ინფორმაცია[80], სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სასულიერო პირების, პოლიტიკოსების, ადვოკატების, ჟურნალისტების, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების, აქტივისტებისა და სხვა პირების მიყურადების შესახებ.[81] მედიის ცნობით, მათ ელექტრონულ ფოსტაზე მიუვიდათ ბმული, სადაც ატვირთული იყო ათასობით კერძო კომუნიკაციის შინაარსის ამსახველი ფაილი.[82]

გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის ფაქტზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის 1-ლი და

---

[76] იხ. https://info.parliament.ge/#law-drafting/22918 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[77] იქვე.

[78] იხ. https://bit.ly/3p0hQVb [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[79] იქვე.

[80] https://formulanews.ge/News/56536 [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]

[81] https://mtavari.tv/news/56304-sasuliero-pirebis-seksualuri-orientatsia-carsuli [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]

[82] https://bit.ly/2Zmm40C [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]

მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაული) საქართველოს პროკურატურაში გამოძიება დაიწყო.[83] აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტებმა და სხვა პირებმა რომლებიც გავრცელებულ ფაილებში ფიგურირებდნენ, დაადასტურეს საუბრების ავთენტურობა.[84] შესაბამისად, მათ უშუალო ზიანი მიადგათ დანაშაულის შედეგად, კერძოდ კი შეილახა მათი კერძო კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება. თუმცა (2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით) პროკურატურამ GDI-ს მიმართვის მიუხედავად (რომელიც დაზარალებულთა ინტერესებს იცავს) ისინი არ ცნო დაზარალებულად. მათი ინტერესების დამცველი არ აღმოჩნდა არც სასამართლო, რომელმაც პროკურატურას არ დაავალა დარღვევის გამოსწორება და დაზარალებულებს უარი უთხრა სტატუსის მინიჭებაზე.[85] აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადასტურა, რომ GDI-ს დაცვის ქვეშ მყოფი პირების ფარულ მოსმენა/მიყურადებას მისი მეთვალყურეობის ფარგლებში ადგილი არ ჰქონია, რაც დამატებით ადასტურებს ფარული მიყურადების უკანონობას.[86]

საგანგაშოა ისიც, რომ სისტემური მოსმენა-მიყურადების ფაქტის გამოვლენის შემდეგ არათუ არავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დამდგარა, არამედ იგივე მაღალჩინოსნები ვისი დავალებითაც სავარაუდოდ მიმდინარეობდა უკანონო მოსმენები, დღემდე იკავებენ თანამდებობებს.

ამასთან, სავარაუდოდ გრძელდება ადამიანების კერძო საუბრების უკანონო მოსმენა. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს სამოქალაქო აქტივისტებისა და ჟურნალისტების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები. კერძოდ 2021 წლის 11 ნოემბერს, მოძრაობა „სირცხვილიას“ წევრები ერთმანეთთან სატელეფონო საუბრის მეშვეობით, თითქოს გეგმავდნენ პარლამენტის შენობის და შემდგომ „ქართული ოცნების“ ოფისის პიკეტირებას. სატელეფონო საუბრებს მოყვა ათობით პოლიციელის მობილიზება აღნიშნულ ადგილებზე რაც მიუთითებს იმ ფაქტზე რომ, დიდი ალბათობით, მოძრაობა სირცხვილიას აქტივისტების სატელეფონო საუბრების მიყურადება ხდება.[87] ანალოგიური შედეგი მოყვა ტელეკომპანია „პირველის“ ექსპერიმენტსაც.[88]

სამწუხაროდ, მოქმედი კანონმდებლობა უკანონო მიყურადებისა და მსგავსი ტიპის, ფარული საქმიანობისგან სათანადოდ არ იცავს პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებს. ამჟამინდელი რეგულაცია, მაგალითად, მკაფიოდ არ მიჯნავს ოპერატიული, საპოლიციო პრევენციულ, საგამოძიებო

---

[83] https://pog.gov.ge/news/saqarTvelos-prokuraturashi-mediasashualebebis-mier-farul-chanawerebTan-dakavshirebiT-gavrcelebul-inf [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]

[84] https://gdi.ge/ge/news/xelisufleba-ganagrdzobs-sus-is-totaluri-kontrolis-meqanizmad-gamoyenebas.page [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]

[85] https://gdi.ge/ge/news/saxelmwifo-inspeqtori-adasturebs-rom-susi-is-failebshi-arsebuli-6-jurnalistisa-da-parlamentis-wevris-farul-mosmenamiyuradebas-misi-metvalyureobis-farglebshi-adgili-ar-hqonia.page [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]

[86] იქვე

[87] https://mtavari.tv/news/63914-tsru-piketi-mosmenebi-sirtskhviliam-susi-makheshi [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]

[88] https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/12565-susi-isev-gvismens-tv-pirvelis-eqsperimenti [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]

და სამძებრო ღონისძიებებს,[89] უშვებს ოპერატიული ღონისძიებების განხორციელებას სასამართლოს ზედამხედველობის გარეშე[90] და არ ადგენს მსგავსი სახის ფარული საქმიანობის კონტროლის ეფექტიან მექანიზმებს.[91] შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობა ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს, რომელთა უგულებელყოფითაც არის მიღებული.[92] აღსანიშნავია, რომ პრობლემური სამართლებრივი ნორმები 2017 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს სახალხო დამცველმა, პოლიტიკურმა პარტიებმა და 300-ზე მეტმა მოქალაქემ, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილება დღემდე არ მიუღია.[93]

4. საარჩევნო უფლება (2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები)

2021 წლის 2 და 31 ოქტომბერს გაიმართა მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნები, რომლის შედეგებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. კერძოდ, 2021 წლის 19 აპრილს საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, თუ „ქართული ოცნება“ პროპორციული წესით ვერ მოიპოვებდა ამომრჩეველთა 43%-ის მხარდაჭერას, მაშინ წლის ბოლომდე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა დანიშნულიყო[94]. ამ შეთანხმების ფონზე, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა მუნიციპალური არჩევნებისთვის სამართლიანი, თავისუფალი და თანასწორი პირობების უზრუნველყოფამ. სამწუხაროდ, აღნიშნულისგან მკვეთრად საპირისპირო იყო წინასაარჩევნო და საარჩევნო პერიოდი. კერძოდ, „წინასაარჩევნო გარემო დააზიანა პოლიტიკური ნიშნით ზეწოლის, მუქარის, ასევე სამსახურიდან გათავისუფლებისა ან წასვლის იძულების ფაქტების სიმრავლემ და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან ასეთი შემთხვევების არაეფექტიანმა გამოძიებამ“[95]. გარდა ამისა, არჩევნების ორივე დღეს ადგილობრივმა სადამკვირებლო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა დააფიქსირეს არაერთი საყურადღებო ხარვეზი, მათ შორის - ამომრჩეველთა ნების კონტროლი, მოსყიდვა და დაშინება, საარჩევნო უბნებთან კრიმინალური ავტორიტეტებისა და საეჭვო პირების მობილიზება ამომრჩევლებზე

---

[89] სოციალური თანასწორობის ცენტრი (ყოფილი EMC), ოპერატიული საქმიანობა სამართალდამცავ ორგანოებში, 2019, გვ. 12-13, იხ: https://cutt.ly/NT2yenj [უკანასკნელად ნანახია 04.12.2021].

[90] სოციალური თანასწორობის ცენტრი (ყოფილი EMC), ოპერატიული საქმიანობა სამართალდამცავ ორგანოებში, 2019, გვ. 78.

[91] სოციალური თანასწორობის ცენტრი (ყოფილი EMC), ოპერატიული საქმიანობა სამართალდამცავ ორგანოებში, 2019, გვ. 73-75.

[92] https://idfi.ge/ge/monitoring_results_of_constitutional_court_hearing_on_secrete_surveillance [უკანასკნელად ნანახია 04.12.2021].

[93] https://idfi.ge/ge/monitoring_results_of_constitutional_court_hearing_on_secrete_surveillance [უკანასკნელად ნანახია 04.12.2021]; რატომ გადამალა საკონსტიტუციომ „ფარული მოსმენების“ საქმე – განხილვიდან გასულია 28 თვე, https://batumelebi.netgazeti.ge/news/358385/ [უკანასკნელად ნანახია 04.12.2021].

[94] იხ: https://cutt.ly/PTLWgGu [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[95] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება, 2021, გვ. 1, იხ: https://cutt.ly/oTLWmRR [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

სავარაუდო ზეწოლის მიზნით, საარჩევნო კარუსელი, ფარულობის პრინციპის, მარკირების, ხმის მიცემისა და წილისყრის წესების დარღვევა, აგრესია და ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფა დამკვირვებლებისა და ჟურნალისტების მიმართ[96]. სერიოზულ პრობლემას ასევე წარმოადგენდა ზღვარის წაშლა მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის, ადმინისტრაციულ რესურსებზე წვდომაში „ქართული ოცნების" უპირატესობა და შედეგად შექმნილი არათანაბარი პირობები[97]. ამასთანავე, საარჩევნო საჩივრების განხილვისას გამოვლინდა უარყოფითი ტენდენციები, მაგალითად საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მტკიცებულებათა შეფასების ერთგვაროვანი სტანდარტის არარსებობა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისას პროპორციულობის პრინციპის უგულებელყოფა[98]. ადგილობრივი სადამკვირებლო და არასამთავრობო ორგანიზაციების თანახმად, „გამოვლენილი დარღვევები ცალსახად ნეგატიურად აისახა ამომრჩევლის თავისუფალი ნების გამოვლენაზე, საარჩევნო პროცესისა და შედეგების მიმართ საზოგადოების ნდობაზე. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მცირე სხვაობის პირობებში, შესაძლოა ამ დარღვევებს შედეგებზე ზეგავლენა მოეხდინა"[99]. ზემოაღნიშნული დარღვევები კრიტიკულად შეაფასეს საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებმაც. ეუთოსა (OSCE) და მისი დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) განცხადებით, „[საარჩევნო] კამპანია დააზიანა დაშინების, ამომრჩეველთა მოსყიდვისა და კანდიდატებსა და ამომრჩევლებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტების შესახებ ფართოდ გავრცელებულმა და თანმიმდევრულმა განცხადებებმა და არათანასწორმა საასპარეზო პირობებმა"[100] ხოლო „დამკვიდრებული პრაქტიკა, რომ დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები მოქმედებენ როგორც პარტიის მხარდამჭერები, და დროდადრო პროცესში ერევიან, ასევე ზოგიერთი საარჩევნო უბნის გარეთ ცალკეული ადამიანების ჯგუფები, რომლებიც პოტენციურად ზეგავლენას ახდენენ ამომრჩევლებზე, შეშფოთების საფუძველს ქმნიდა"[101]. აშშ-ს საელჩოს პოზიციით, „[საარჩევნო] გარემო დაზიანებული იყო ფართოდ გავრცელებული და განმეორებითი საჩივრებით დაშინების, ხმების მოსყიდვის, კანდიდატებსა და ამომრჩევლებზე ზეწოლის, მოქალაქე დამკვირვებლების პარტიის წარმომადგენლებად არასათანადო გამოყენების, არათანაბარი სამოქმედო პირობების შესახებ, მათ შორის, წინასაარჩევნო პერიოდშიც"[102].

---

[96] იხ: https://cutt.ly/DTLWFRJ [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]; იხ: https://cutt.ly/UTLW3WW [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]; იხ: https://cutt.ly/PTLErPB [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]; იხ: https://cutt.ly/lTLEflA [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[97] იხ: https://cutt.ly/DTLWFRJ [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[98] იხ: https://cutt.ly/7TLEbNE [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[99] იხ: https://cutt.ly/DTLWFRJ [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[100] OSCE/ODIHR საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საქართველო - მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, 2021 წლის 2 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ, გვ. 1, იხ: https://www.osce.org/files/f/documents/d/9/499477_2.pdf [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[101] OSCE/ODIHR, საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საქართველო - მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, მეორე ტური 2021 წლის 30 ოქტომბერი, გვ. 1, იხ: https://www.osce.org/files/f/documents/f/f/502719_0.pdf [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[102] იხ: https://ge.usembassy.gov/u-s-embassy-statement-on-2021-georgian-municipal-elections/ [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]; იხ: https://www.facebook.com/usingeo/posts/10159489677312954 [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

აღნიშნულ პრობლემებზე ყურადღება ასევე გაამახვილა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობამ[103].

საბოლოოდ, როგორც წინასაარჩევნო, ისე საარჩევნო გარემომ შეასუსტა ნდობა არჩევნების შედეგების მიმართ. გამოვლინდა სერიოზული დარღვევები, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ საარჩევნო უფლებასა და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპს. ამ კონსტიტუციური გარანტიებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს თანასწორ და სამართლიან საარჩევნო გარემოს, რადგან სწორედ „არჩევნები არის ის მექანიზმი, რომელიც სახალხო სუვერენიტეტის რეალიზაციის შესაძლებლობას ქმნის“[104]. სამწუხაროდ, ეს მექანიზმი საქართველოში დღემდე ვერ მუშაობს სათანადოდ და 2021 წლის მუნიციპალური არჩევნები კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯია ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე.

5. თანასწორობა და რელიგიის თავისუფლება

5.1 ქრისტიან და მუსლიმ თემს შორის დაპირისპირება ბუკნარში

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში ქრისტიან და მუსლიმ თემს შორის ურთიერთობა 2020 წლის დეკემბერში დაიძაბა და გამწვავდა 2021 წლის იანვარში,[105] მაგრამ დაპირისპირებას უფრო ადრეული კონტექსტი აქვს. კერძოდ, 2012 წელს მუსლიმმა თემმა ბუკნარში ჯამეს (სალოცავი სივრცის) მოსაწყობად მიმართა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს, რომელმაც თემს ოფიციალური პასუხი არ გასცა.[106] ჯერ კიდევ მაშინ მართლმადიდებელი მოსახლეობა მეჩეთის მშენებლობას შეეწინააღმდეგა, რადგან, მათი აზრით, დაუშვებელი იყო „ქართულ მიწაზე“ მეჩეთის აგება.[107] მაშინ მეჩეთი არ აშენდა, ხოლო 2020 წელს მუსლიმმა თემმა სოფელში კერძო სახლი შეიძინა სალოცავი სივრცის მოსაწყობად.[108] 2020 წლის ბოლოს, მას შემდეგ, რაც სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია მეჩეთის აშენების სავარაუდო გეგმის შესახებ, ქრისტიანთა თემი ადგილობრივ მუსლიმებს კვლავ დაუპირისპირდა იმავე არგუმენტით, რომ დაუშვებელია „ქართულ მიწაზე“ მეჩეთის აგება.[109] დაპირისპირება რამდენჯერმე გადაიზარდა ფიზიკურ

---

[103] იხ: https://cutt.ly/vTHWAGD [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]; იხ: https://cutt.ly/BTHWJqn [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[104] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის N1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II - 2

[105] https://socialjustice.org.ge/ka/products/buknari-kidev-erti-religiuri-konfliktis-adgili [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[106] https://socialjustice.org.ge/ka/products/buknari-kidev-erti-religiuri-konfliktis-adgili [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[107] https://socialjustice.org.ge/ka/products/buknari-kidev-erti-religiuri-konfliktis-adgili [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[108] https://socialjustice.org.ge/ka/products/buknari-kidev-erti-religiuri-konfliktis-adgili [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[109] https://socialjustice.org.ge/ka/products/buknari-kidev-erti-religiuri-konfliktis-adgili [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]; https://gdi.ge/ge/news/ngo-statement-14-01-2021.page [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

შეურაცხყოფაში, შედეგად კი დაშავდა რამდენიმე მუსლიმი.[110] საბოლოოდ, გავრცელებული ინფორმაციით, მედიაციის შემდეგ რელიგიური დაპირისპირება შერიგებით დასრულდა და კონფლიქტი ამოწურულია.[111]

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა,[112] რომ თავიდან აიცილოს და აღკვეთოს ღვისმსახურებისათვის ხელშეშლა და უზრუნველყოს მუსლიმი თემის მიერ რელიგიის თავისუფლების რეალიზაცია. სამწუხაროდ, ბუკნარის კონფლიქტი არ არის მუსლიმ მოსახლეობასთან დაპირისპირებისა და მისი უფლებების დარღვევის პირველი შემთხვევა. კერძოდ, 2012-დან 2016 წლის ჩათვლით, სხვადასხვა ადგილას დაფიქსირდა 8 მსგავსი ინციდენტი, რომლებიც ასევე ეფუძნებოდა „ქართულ მიწაზე“ ისლამური სალოცავების დაუშვებლობის ისლამოფობიურ/თურქოფობიურ არგუმენტს.[113] სახელმწიფოს ამ კონფლიქტებიდან თითქმის არცერთზე არ ჰქონია ეფექტიანი სამართლებრივი რეაგირება.[114] ამ მხრივ, აღსანიშნავია სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს არაეფექტური ფუნქციონირება. კერძოდ, „სოფელ ბუკნარში გამოვლენილი კონფლიქტის გადაჭრაში უწყება აქტიური აქტორი არ ყოფილა, მათი მონაწილეობა მედიაციის პროცესში ხილვადი არ იყო“.[115] ზოგადად, პრობლემურია სააგენტოს ბუნდოვანი კომპეტენციები, ადამიანის უფლებების პერსპექტივის ნაცვლად უსაფრთხოებაზე დაფუძნებული ხედვა და რეგრესული, საზიანო ინიციატივები.[116] შესაბამისად, არც ამ უწყების დაფუძნებით და არც რაიმე სხვა ღონისძიებით ხელისუფლებას ჯერჯერობით არ ჰქონია სათანადო რეაგირება რელიგიის თავისუფლების კუთხით არსებულ სისტემურ პრობლემებზე, რაც ხელს უწყობს სამომავლო კონფლიქტების გაღვივებას.

5.2 დისკრიმინაციული კომენდანტის საათი

2021 წლის 18 მარტს აზერბაიჯანული თემის წევრებმა და აქტივისტებმა ოფიციალურად მიმართეს საქართველოს მთავრობას თხოვნით, რომ 21 მარტს დროებით მოეხსნა გადაადგილების შეზღუდვა, ე.წ. კომენტანტის საათი, რათა მათ თავისუფლად აღენიშნათ

---

110 https://socialjustice.org.ge/ka/products/buknari-kidev-erti-religiuri-konfliktis-adgili [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]; https://gdi.ge/ge/news/ngo-statement-14-01-2021.page [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

111 https://netgazeti.ge/news/512283/ [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

112 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის no. 28490/02 გადაწყვეტილება საქმეზე *Begheluri v. Georgia*, §160.

113 https://socialjustice.org.ge/ka/products/buknari-kidev-erti-religiuri-konfliktis-adgili [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]; https://gdi.ge/ge/news/ngo-statement-14-01-2021.page [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

114 https://socialjustice.org.ge/ka/products/buknari-kidev-erti-religiuri-konfliktis-adgili [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]; https://gdi.ge/ge/news/ngo-statement-14-01-2021.page [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

115 https://socialjustice.org.ge/ka/products/buknari-kidev-erti-religiuri-konfliktis-adgili [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]; https://gdi.ge/ge/news/ngo-statement-14-01-2021.page [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

116 https://socialjustice.org.ge/ka/products/buknari-kidev-erti-religiuri-konfliktis-adgili [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]; https://gdi.ge/ge/news/ngo-statement-14-01-2021.page [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

ნოვრუზის დღესასწაული.[117] საქართველოს მთავრობას იმავე მოთხოვნით მიმართეს სახალხო დამცველმა და მასთან არსებულმა ეროვნული უმცირესობების საბჭომ და იმედი გამოთქვეს, რომ „საქართველოს მთავრობა გაითვალისწინებს და დააკმაყოფილებს საქართველოს მოქალაქეთა ნაწილის თხოვნას, რათა ეთნიკური უმცირესობებს გაუმტკიცდეთ განცდა, რომ სახელმწიფო აღიარებს საქართველოს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობას, მათი ეროვნული და რელიგიური თავისუფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით".[118] მიუხედავად ამისა, ნოვრუზის აღნიშვნის მიზნით კომენდანტის საათის მოხსნაზე მთავრობამ უარი განაცხადა, მიღებული გადაწყვეტილება კი დააფუძნა ვირუსის გავრცელების მომეტებულ რისკს.[119]

ხელისუფლების მიერ კორონავირუსის გავრცელების საფრთხეზე აპელირება არადამაჯერებელია იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობის საკოორდინაციო საბჭომ 7 იანვარს შობის აღსანიშნავად გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა დროებით გააუქმა.[120] შეზღუდვა გაუქმებული იყო ახალი წლის ღამესაც. მთავრობის მიერ გამონაკლისების დაშვება მხოლოდ იმ დღეებში, როდესაც ეს დომინანტური რელიგიური და ეთნიკური ჯგუფებისთვისაა ხელსაყრელი (1 იანვარი, 7 იანვარი და ა.შ.) და ასეთივე გამონაკლისზე უარის თქმა 25 დეკემბერს შობისა და 21 მარტს ნოვრუზის დღესასწაულებისათვის, მიუთითებს, რომ ხელისუფლება არ განიხილავს რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებს თანასწორუფლებიან მოქალაქეებად და უგულებელყოფს მათ საჭიროებებს.

5.3 პარლამენტის მიერ ეთნიკური უმცირესობების დიასპორად განხილვა

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ბაზაზე შეიქმნა ეროვნული უმცირესობების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო.[121] ზოგადად მისასალმებელია პარლამენტში ეროვნული უმცირესობებისთვის საკონსულტაციო მექანიზმის შექმნა. მიუხედავად ამისა, მოცემულ შემთხვევაში საბჭოს დაფუძნება არ შეესაბამება თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპებს, რადგან მისი შექმნა კონკრეტულად დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ბაზაზე მიუთითებს, რომ პარლამენტი საქართველოს მოქალაქეებს და საქართველოში ისტორიულად მცხოვრებ ჯგუფებს დიასპორად განიხილავს.[122] ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებებს, ტოლერანტობასა და თანასწორობას, რადგან ხელს უშლის ინტეგრაციის პროცესს, ეთნიკური ნიშნით აცალკევებს საქართველოს მოქალაქეებს და იწვევს გაუცხოებისა და გარიყულობის განცდას. გარდა ამისა, საბჭო შეიქმნა

---

[117] https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelis-mimartva-sakartvelos-mtavrobas

[118] https://cutt.ly/PTLmx80 [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[119] https://tabula.ge/ge/news/664062-sakoordinatsio-sabcho-novruz-bairamisas-erti [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[120] https://tabula.ge/ge/news/664062-sakoordinatsio-sabcho-novruz-bairamisas-erti [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]; https://cutt.ly/PTLmx80 [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[121] https://gdi.ge/ge/news/statement-17-03-2021.page [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[122] https://gdi.ge/ge/news/statement-17-03-2021.page [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

უმცირესობათა ჯგუფების მონაწილეობისა და ექსპერტებთან კონსულტაციის გარეშე.[123] რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტს, რომლის თანახმად, „საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობა უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე, მისი შემადგენლობა და შემადგენლობის შედგენის წესი უნდა განისაზღვრებოდეს დემოკრატიულად, უმცირესობათა მაღალი ჩართულობით და წარმომადგენლობით“.[124]

5.4 ჰომოფობია

2021 წლის 15 მაისს ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ლგბტ+ აქტივისტების მიერ მოწყობილი ინსტალაცია დააზიანა და აქტივისტები სიტყვიერად შეურაცხყო ულტრანაციონალისტური განწყობებით ცნობილმა გურამ ფალავანდიშვილმა.[125] პოლიციამ ფალავანდიშვილი მხოლოდ განარიდა მიმდებარე ტერიტორიას,[126] მანამდე კი შსს-მ ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „უზრუნველყოფს როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას, ასევე, თითოეული ადამიანის გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც არ გასცდება კანონით დასაშვებ ფარგლებს. ნებისმიერ სხვა ქმედებას, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მოქალაქეთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას, პოლიციის მხრიდან მოჰყვება შესაბამისი რეაგირება“.[127] ამ განცხადების საპირისპიროდ, 15 მაისის ინციდენტი მიანიშნებს შსს-ს არასაკმარის ძალისხმევაზე, რომ თავიდან აიცილოს და აღკვეთოს ჰომოფობიით მოტივირებული სამართალდარღვევები/დანაშაულები.[128] ამასთანავე, 15 მაისს მომხდარ ჰომოფობიურ შემთხვევაზე გამოძიებას ამ დრომდე არ ჰქონია ხელშესახები შედეგები და არავინ არ დაუკავებიათ.

გარდა ამისა, აღსანიშნავია 24 მაისს რესპუბლიკის მოედანზე გამართული აქციისას მომხდარი ჰომოფობიური თავდასხმა - გურამ ფალავანდიშვილის შვილმა, ალექსანდრე ფალავანდიშვილმა და მისმა თანმხლებმა პირებმა სიტყვიერად შეურაცხყვეს სამოქალაქო აქტივისტები იმ საბაბით, რომ ერთ-ერთ აქტივისტს ცისარტყელის ფერების სამკლაური ეკეთა.[129] მიუხედავად ამისა, აქციის ადგილიდან პოლიციამ განარიდა არა ფალავანდიშვილი და მისი თანმხლები პირები, არამედ სამოქალაქო აქტივისტები.[130] რაც

---

[123] https://gdi.ge/ge/news/statement-17-03-2021.page [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[124] სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC), ეთნიკური უმცირესობების საკონსულტაციო მექანიზმები - რეალობა საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება, 2020, გვ. 9-10, იხ: https://cutt.ly/6TLQup4 [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[125] https://cutt.ly/VTLbeug [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]; https://tabula.ge/ge/news/667305-tbilisi-pride-palavandishvili-lgbtk-aktivistebs [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[126] https://tabula.ge/ge/news/667305-tbilisi-pride-palavandishvili-lgbtk-aktivistebs [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021]; https://gdi.ge/ge/news/dedaenis-bagshi-homofobiur-niadagze-momxdar-tavdasxma.page [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[127] https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/14626 [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[128] https://gdi.ge/ge/news/dedaenis-bagshi-homofobiur-niadagze-momxdar-tavdasxma.page [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[129] https://gdi.ge/ge/news/statement-24-05-2021.page [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[130] https://gdi.ge/ge/news/statement-24-05-2021.page [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

მთავარია, 2021 წლის ივლისში პრაიდის კვირეულის ფარგლებში მომხდარი თავდასხმები წარმოადგენდა ჰომოფობიის ყველაზე მწვავე გამოვლინებას წლის განმავლობაში. კერძოდ, სიძულვილის ჯგუფებმა 1 ივლისს კვირეულის კინოჩვენების მონაწილეებს ესროლეს კვერცხები, ბოთლები და, სავარაუდოდ, ქვები, 3 ივლისს სცადეს ფესტივალის ჩაშლა, ხოლო 5 ივლისს ჩაშალეს „ღირსების მარში“ - თავს დაეხსნენ ლგბტ+ თემის წევრებსა და მხარდამჭერებს და მედიის წარმომადგენლებს, დაარბიეს „თბილისი პრაიდის“ ოფისი და დააზიანეს მედიის ტექნიკა.[131]

ჰომოფობიური აგრესიის ზემოაღნიშნული შემთხვევები ადასტურებს, რომ ხელისუფლება თავს არიდებს სიძულვილის ჯგუფების მიმართ მკაცრი პოლიტიკის განხორციელებასა და მათთვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. უფრო მეტიც, ხელისუფლებას არათუ არ აქვს სათანადო რეაქცია ჰომოფობიის საპასუხოდ, არამედ თავად ახალისებს ლგბტ+ თემის წინააღმდეგ სიძულვილს. კერძოდ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთი ჰომოფობიური განცხადება გააკეთეს. თბილისის მერმა, კახა კალაძემ, მაგალითად, პრაიდის კვირეულის ჩატარებას უწოდა მიზანშეუწონელი,[132] ხოლო მმართველი პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ „სრული კონტექსტის გათვალისწინებით, ამ ადამიანებს უარი უნდა ეთქვათ ამ ღონისძიების ჩატარებაზე“,[133] საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე დავით სერგეენკომ კი ჟურნალისტებს შემდეგი პასუხი გასცა: „რაც შეეხება უფრო ხმამაღლა გამოხატვას, არ ვიცი, საზოგადოების სხვა ნაწილსაც უნდა შეეკითხონ ალბათ და მაინცდამაინც კონფრონტაციაზე არ უნდა წავიდნენ. არავინ არ უშლის არაფერში ხელს, უბრალოდ, რაღაც უფრო ნაკლები ენთუზიაზმით ჯობია“.[134] ხოლო პრემიერ-მინისტრმა „ღირსების მარშის“ ჩაშლის შემდეგ განაცხადა: „როდესაც ჩვენი მოსახლეობის 95 % არის წინააღმდეგი დემონსტრაციულად პროპაგანდისტილი მარშის თუ აღლუმის ჩატარების, ამას, მეგობრებო ყველანი უნდა დავემოჩილოთ. ეს არის ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აზრი და ჩვენ როგორც ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება ვართ იძულებული რომ ამას ანგარიში გავუწიოთ...“[135] შესაბამისად, ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის ნაცვლად, ხელისუფლება თავად აძლიერებს ლგბტ+ თემის წინააღმდეგ მტრულ გარემოს.

6. ბავშვთა უფლებები

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების ინსტიტუციური ზრუნვის მეთოდები საკმაოდ მოძველებული და არაეფექტიანია, საქართველოში შემორჩენილია დიდი ზომის ბავშვთა სახლები. ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტები საკმაოდ ხშირია ამგვარ დაწესებულებებში, რომელთაგან 2015 წლიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბავშვთა სახლი.[136] კერძოდ, სახალხო დამცველმა წლების

---

[131] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 05.07.21 მარში ღირსების გარეშე, გვ. 10-16, იხ: https://gdi.ge/uploads/other/1/1384.pdf [უკანასკნელად ნანახია 04.12.21].

[132] https://www.radiotavisupleba.ge/a/31331499.html [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[133] https://cutt.ly/CTLbBN4 [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[134] https://cutt.ly/RTLQHf0 [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[135] https://www.radiotavisupleba.ge/a/31354085.html [უკანასკნელად ნანახია 24.11.2021].

[136] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს

განმავლობაში არაერთხელ აღნიშნა, რომ „ნინოწმინდის წმინდა ნინოს ბავშვთა პანსიონში განხორციელებულმა მონიტორინგებმა გამოკვეთა ბავშვთა მიმართ ძალადობის მწვავე ფაქტები და ბავშვების დასჯის შემთხვევები. პანსიონში მცხოვრები არასრულწლოვნები ფაქტიურად იზოლირებულები არიან სოციუმიდან და პრობლემურია მათი ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილების საკითხი“[137].

საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული ბავშვთა პანსიონატის ხელმძღვანელის, მეუფე სპირიდონის გავლენით სოციალურ მუშაკებს დაწესებულებაში 2020 წლის ივნისის შემდეგ არ უშვებდნენ.[138] ასევე, 2021 წლის 15 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფს არ მისცეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების საშუალება - არ შეუშვეს ბავშვთა სახლში.[139] 19 მაისს სახალხო დამცველის რწმუნებულებს კვლაც არ მიეცათ მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა.[140] მომდევნო დღეებში მეუფე სპირიდონმა გაავრცელა ვიდეომიმართვა, რომელშიც სახალხო დამცველის დისკრედიტაციას შეეცადა[141]. ასევე, 4 ივნისს მეუფე სპირიდონის საერო სახელით (გოჩა აბულაძე) დარეგისტრირებულმა ფეისბუქმომხმარებელმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ლაივ-ვიდეოები, რომლებშიც ბავშვებს ეკითხება, სურთ თუ არა პანსიონიდან წასვლა[142]. ვიდეოებში ჩანს, რომ ბავშვები დათრგუნულები არიან, ერთი მათგანი კი - ტირის.[143]

დიდი ზომის დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების უფლებების დაცვის მიზნით, ორგანიზაციამ *პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის* (PHR), „თბილისის საქალაქო სასამართლოს, 2021 წლის 19 აპრილს, დროებით განჩინების გამოცემის შუამდგომლობით მიმართა და მოითხოვა, სახალხო დამცველის წარმომადგენლებისთვის ნინოწმინდის პანსიონატში ეფექტური მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობის მიცემა“[144]. 7 მაისს გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტმა დროებითი ზომები მიიღო და ხელისუფლება დაავალდებულა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოების მიერ ნინოწმინდის პანსიონში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმების უზრუნველყოფა[145], თუმცა სახალხო დამცველს ბავშვთა სახლში 28 ივნისამდე არ უშვებდნენ,[146] რაზეც სახელმწიფოს სათანადო რეაგირება არ ჰქონია[147]. 2 ივნისს ნინო ლომჯარიამ აღნიშნულ საკითხზე განცხადებაში აღნიშნა, რომ უკანასკნელი 5 წლის

მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში, 2015, იხ: https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040514142996306.pdf [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[137] https://cutt.ly/6Yg5cpa [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[138] https://cutt.ly/6Yg5cpa [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[139] https://www.radiotavisupleba.ge/a/31211095.html [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021]; https://cutt.ly/6Yg5cpa [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[140] https://cutt.ly/LYg5DkJ [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[141] https://www.youtube.com/watch?v=1YPy-ELrPzo [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[142] https://www.radiotavisupleba.ge/a/31290919.html [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[143] https://www.radiotavisupleba.ge/a/31290919.html [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[144] https://www.phr.ge/search/245 [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[145] https://netgazeti.ge/news/545809/ [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021]; https://cutt.ly/LYg5DkJ [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[146] https://cutt.ly/XYg5BbE [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[147] https://cutt.ly/LYg5DkJ [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

განმავლობაში, პანსიონატში არასრულწლოვნების მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე, მათ შორის, სავარაუდო გაუპატიურების ფაქტზე, ოთხი სისხლის სამართლის საქმის გამოძიება იყო დაწყებული .[148]

მეუფე სპირიდონმა პანსიონის კარი უფლებადამცველებს და მედიის წარმომადგენლებს ჩაუკეტა, თუმცა დაწესებულებაში პრორუსული ორგანიზაციის წარმომადგენლები შეუშვა[149].

ამ საკითხს არასამთავრობო ორგანიზაციებიც გამოეხმაურნენ. 3 ივნისს „კოალიცია თანასწორობისთვის" შემავალმა ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ „ნინოწმინდის პანსიონატთან დაკავშირებით მიმდინარე მოვლენები საგანგაშოა და სახელმწიფოსგან დაუყოვნებელ, მკაცრ რეაგირებას საჭიროებს"[150]. 5 ივნისს PHR-ის სარჩელის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნინოწმინდის პანსიონი დაუყოვნებლივ უნდა დატოვებინა თითოეულ ბავშვს[151]. მეორე დღესვე, ნინოწმინდის პანსიონიდან გადაიყვანეს 20 არასრულწლოვანი, მათ შორის, 7 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი[152]. 28 ივნისს, სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია ომბუდსმენის აპარატის რამდენიმე თანამშრომელთან და ბავშვთა ფსიქოლოგთან ერთად პანსიონატში მივიდა და პანსიონის ახლადდანიშნულ ხელმძღვანელს, მეუფე იაკობს შეხვდა[153]. სახალხო დამცველის ვიზიტის შემდეგ პანსიონის მმართველმა განაცხადა, რომ უწყების კარი ღიაა და გათვალისწინებული იქნება ყველა რეკომენდაცია[154].

2021 წლის 12 ნოემბრის მონაცემებით, პანსიონში, სადაც 56 ბენეფიციარი ცხოვრობდა[155], რჩება 15 აღსაზრდელი.[156]

ნინოწმინდის პანსიონში მიმდინარე მოვლენებმა ცხადყო, თუ რამდენად პრობლემურია ბავშვთა ინსტიტუციურ დაწესებულებებში არსებული ვითარება. აღნიშნული ტიპის დაწესებულებებში ბავშვების უფლებები სისტემურად ირღვევა, სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი რეაგირება და საერთაშორისო ორგანიზაციების მოწოდებების არასათანადოდ გათვალისწინება კი მიანიშნებს სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციური და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიმართ ეკლესიის გაუმართლებელ გავლენაზე.

7. პანდემია და ადამიანის უფლებები

7.1 შეზღუდვების კონსტიტუციურობა

---

[148] https://netgazeti.ge/news/545809/ [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021]; https://cutt.ly/LYg50LN [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[149] https://formulanews.ge/News/51316 [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[150] https://gdi.ge/ge/news/koalicia-03-06-2021.page [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[151] https://www.radiotavisupleba.ge/a/31291976.html [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[152] https://www.radiotavisupleba.ge/a/31293193.html [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[153] https://cutt.ly/TYgzhfF [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[154] https://www.radiotavisupleba.ge/a/31330260.html [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[155] https://www.radiotavisupleba.ge/a/31330260.html [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[156] https://cutt.ly/VYhwS38 [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

2021 წელს სახელმწიფოს მიერ Covid-19-ის გავრცელების პრევენციისთვის 2020 წელს ამოქმედებული და ძალაში დატოვებული, ასევე ახალად ამოქმედებული იძულებითი ზომების ეფექტიანობა და მისი თავსებადობა ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო და კონსტიტუციურ სტანდარტებთან მნიშვნელოვანი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა.

მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს ხელისუფლებას საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული „საგანგებო მდგომარეობა" არ გამოუცხადებია, მთავრობის დადგენილებაში განსაზღვრული რეგულაციებით, რომელიც ინტენსიურად ზღუდავდა რიგი კონსტიტუციური ნორმებით დაცულ უფლებრივ სფეროებს, სახელმწიფოში შექმნილი იყო De Facto „საგანგებო მდგომარეობა", მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით:

- ე.წ. „კომენდანტის საათი" გადაადგილების თავისუფლების მასობრივი და გრძელვადიანი შეზღუდვა.
- პერიოდულად, საქალაქთაშორისო და მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის სრული აკრძალვა.
- პერიოდულად, კვების ობიექტების, სასტუმროების და სხვა ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე ობიექტების ოპერირების სრული აკრძალვა/ინტენსიური შეზღუდვა.
- სახმელეთო საზღვრის ჩაკეტვის შესაღებ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება და სხვ.[157]

მსგავსი ხასიათისა და მასშტაბის მქონე შეზღუდვების სპეციალური კონსტიტუციური რეჟიმით - „საგანგებო მდგომარეობით" რეგლამენტირების აუცილებლობა განპირობებულია პოლიტიკურ ლეგიტიმაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე საპასუხოდ და ხელისუფლების მოქმედების ჩარჩოს დადგენით მისი ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფელად. მიუხედავად ამისა, 2021 წელს „საგანგებო მდგომარეობა" საქართველოში არ გამოცხადებულა, რაც კიდევ უფრო დაუსაბუთებელს ხდის დაწესებული შეზღუდვების მიზანშეწონილობასა და კანონიერებას.

სამოქალაქო სექტორისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, არსებული შეზღუდვები ლახავდა ფორმალური და მატერიალური კონსტიტუციურობის მოთხოვნებს.[158] კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, კონსტიტუციურ უფლებებში ჩარევა უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტით, თუმცა ზემოაღნიშნული შეზღუდვები, რომელიც ზღუდავდა გადაადგილების, მეწარმეობის თავისუფლების, საკუთრების და სხვა უფლებებს,

[157] https://cutt.ly/pYgMKSY [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[158] https://osgf.ge/demokratia-da-adamianis-uflebebi-pandemiis-da-sagangebo-mdgomareobis-pirobebshi-2/ [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

განსაზღვრული იყო აღმასრულებელი ხელისუფლების აქტით- მთავრობის დადგენილებით.[159]

გარდა ამისა, არადამაჯერებელი და ბუნდოვანი იყო ხელისუფლების პოზიცია ეკონომიკური დატვირთვის მქონე ობიექტების ბლანკეტური შეზღუდვების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევის მართლზომიერების შეფასების ერთ-ერთი კომპონენტია იმის განსაზღვრა, სახელმწიფოს ჰქონდა თუ არა შესაძლებელობა უფლების უფრო ნაკლებად მზღუდავი საშუალებით მიეღწია დასახული ლეგიტიმური მიზნებისთვის.[160] გაუგებარია თუ სოციალური დისტანციის დაცვისა და პირბადის ტარების მკაცრი მოთხოვნის პირობებში რატომ უნდა აკრძალულიყო სრულად საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და რიგი ეკონომიკური დატვირთვის მქონე ობიექტების ოპერირება.

მეტიც, უფლებრივი თვალსაზრისით ლეგიტიმური კითხვები არსებობს დაპირისპირებულ კანონიერ ინტერესებს შორის გონივრულ ბალანსის პოვნასთან დაკავშირებით. კერძოდ, პასუხგაუცემელია კითხვა: მუნიციპალური და ქალაქთშორისი გადაადგილების, ეკონომიკური ობიექტების ოპერირების სრული აკრძალვით, რამაც საზოგადოების დაბალ და საშუალო სოციალურ ფენებში, პრაქტიკულად, ეკონომიკური აქტივობების გაუქმება გამოიწვია, მიღებული ზიანი ხომ არ აღემატება იმ სარგებელს, რომელიც ამ აკრძალვების შედეგად რეალიზდა? საბოლოო ემპირიული მონაცემები ცალსახას ხდის, რომ ამ კითხვაზე პასუხი უარყოფითია და ხელისუფლების მიერ დადგენილი მძიმე რეგულაციები პანდემიასთან გამკლავების პროცესში ეფექტიანობის დაბალი ხარისხით გამოირჩეოდა.

მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების თანახმად, COVID-19 - ით გამოწვეული სიკვდილიანობის ნიშნით (ერთ სულ მოსახლეზე) საქართველო მსოფლიოს ქვეყნების რიგში მე-8 ადგილზეა[161], რაც ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ ხანგრძლივი და ბლანკეტური შეზღუდვები არც ლეგიტიმური მიზნის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის, მიღწევის ეფექტური საშუალება არ ყოფილა.

7.2 შერჩევითი სამართლიანობა პანდემიის მართვის დროს

2021 წელს პანდემიის მართვასთან დაკავშირებული მასშტაბური და ბლანკეტური რეგულაციების აღსრულების პროცესში გამოიკვეთა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან დისკრეციის არაკეთილსინდისიერად განხორციელება და შერჩევითი სამართლიანობის პრინციპით ხელმძღვანელობის არაერთი მაგალითი.

შერჩევით სამართლიანობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს პრემიერ მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, მიერ 2021 წლის 7 აგვისტოს ხალხმრავალ სუფრაზე „ქეიფი“ იმ პირობებში, როდესაც საქართველოს მთავრობის

---

[159] იზოლაციისა და კარანტინის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილება.

[160] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60.

[161] https://coronavirus.jhu.edu/data/mortality [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

დადგენილებით აკრძალული იყო 10-ზე მეტი ფიზიკური პირის ისეთი თავშეყრა, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებაში დამკვიდრებულ სოციალურ ღონისძიებებთან.[162] კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოების უმოქმედობა და უმაღლესი სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ კანონის უზენაესობის პრინციპის დემონსტრაციულად შელახვა საზოგადოებაში ნიჰილიზმის გაღვივებას უწყობს ხელს.

პანდემიის მართვასთან დაკავშირებული რეგულაციების აღსრულების პროცესში შერჩევითი სამართლიანობის პრობლემას მწვავედ უსვამს ხაზს ხელისუფლების მიერ ქრისტიანული ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, სხვა რელიგიური ორგანიზაციებისგან განსხვავებულ, პრივილეგირებულ სამართლებრივ მდგომარეობაში ჩაყენება.

ქრისტიანული ეკლესიების ნაწილი აღდგომის დღესასწაულს 2021 წლის 4 აპრილს აღნიშნავდა. ხელისუფლებამ, მიუხედავად მრევლის მოთხოვნისა, არ დაუშვა გამონაკლისი ღამის საათებში გადაადგილების შეზღუდვის მოხსნასთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც განსხვავებული წესი მოქმედებდა 2021 წლის 2 მაისს, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავდა აღდგომის დღესასწაულს. მთავრობის გადაწყვეტილებით, სააღდგომო ლიტურგიასთან დაკავშირებით, გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა საგამონაკლისო ცვლილებას დაექვემდებარა. ანალოგიურად, ხელისუფლებამ შერჩევითი და დისკრიმინაციული მიდგომა წარმოაჩინა, როდესაც გადაადგილების აკრძალვიდან გამონაკლისი მართლმადიდებელი მოსახლეობისთვის დაუშვა 7 იანვარს შობის აღსანიშნავად, მაგრამ იგივე გამონაკლისზე უარი თქვა აზერბაიჯანული თემის წევრებისათვის, 21 მარტს ნოვრუზის აღსანიშნავად (იხ. მე-5 თავი).

7.3 ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან დისკრიმინაციულად გათავისუფლება

სახელმწიფოს მიერ გამოვლენილი შერჩევითი სამართლიანობის თვალსაჩინო მაგალითია პანდემიის პრევენციისკენ მიმართული რეგულირებების დარღვევის გამო სახდელდადებული პირების დისკრიმინაციული გათავისუფლება პასუხისმგებლობისგან. 2020 წლის 24 ივნისს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტს წარედგინა ორი კანონპროექტი პანდემიის პერიოდში დაწესებული რეგულაციების დარღვევისთვის ადმინისტრაციული სახდელისგან პირთა გარკვეული ჯგუფის გათავისუფლების შესახებ.[163] პრემიერ მინისტრის ინიციატივა გააკრიტიკეს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა. მათი განცხადებით, ეს იყო წინასაარჩევნო, ელექტორალური სიმპატიების ფორმირების მიზნით გაკეთებული განცხადება,რომელიც ლახავდა თანასწორობის უფლებას იმ პირთა მიმართ, რომლებმაც პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების დარღვევის გამო უკვე გადაიხადეს ადმინისტრაციული სახდელი. ასევე, მსგავსი მიდგომა ავლდენდა

[162] https://formulanews.ge/News/54862 [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[163] https://cutt.ly/2YgMQCC [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

სახელმწიფოს არათანმიმდევრულობასა და არაეფექტიანობას პანდემიის მართვის პროცესში.[164]

მიუხედავად კონსტიტუციურ სამართლებრივი და მორალური ნაკლოვანებებისა „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი ძალაში შევიდა 2021 წლის 9 სექტემბერს და მისი მოქმედება გავრცელდა მხოლოდ 2021 წლის 23 ივნისამდე ჩადენილ იმ სამართალდარღვევებზე, რომლებიც 2021 წლის 9 სექტემბრის მოცემულობით არ იყო აღსრულებული. უფლება თანასწორ მოპყრობაზე დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მიხედვით, რომლის თანახმადაც კონკრეტულ ურთიერთობასთან მიმართებით არსებითად მსგავს პირებს სახელმწიფო უნდა მოეპყრას თანასწორად, ხოლო თუკი იგი ახდენს დიფერენციაციას, იგი უნდა იყოს გამართლებული დაცვის ღირსი ლეგიტიმური ინტერესებით.

კანონის ძალაში შესვლის დღიდან აღსრულების ეროვნულმა ბიურომ შეწყვიტა წარმოება საქმეებზე, რომელიც ეხებოდა პანდემიასთან დაკავშირებული რეგულირებების დარღვევისთვის სახდელდადებულ პირებს და ამდენად, უფლებრივად პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ პირები, რომლებმაც 2021 წლის 23 ივნისამდე ჩაიდინეს ზემოაღნიშნული სამართალდარღვევა, თუმცა ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გამო არ გადაუხდიათ სახდელი, განსხვავებით იმ პირებისგან, რომლებსაც ანალოგიური ქმედებებისთვის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან სახდელი გადახდილი ჰქონდათ. „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით შეილახა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით გარანტირებული თანასწორობის უფლება, ვინაიდან არსებითად თანასწორ პირთა დიფერენცირება სამართლებრივად დაუსაბუთებლად განხორციელდა.

გარდა ამისა, მოცემულ შემთხვევაში პანდემიის მართვასთან დაკავშირებული რეპრესიული პოლიტიკის გატარებისას სახელმწიფომ გამოავლინა შერჩევითი მართლმსაჯულების ელემენტები, რაც ლახავს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს. ნიშანდობლივია რეპრესიული პოლიტიკის არათანმიმდევრულობის სოციალური ეფექტებიც, ადმინისტრაციული სახდელებისგან პირთა გათავისუფლებამ შექმნა ნოყიერი ნიადაგი დაუსჯელობის სინდრომიდან მომდინარე ნეგატიური ეფექტებისთვის.

8. სამართლიანი სასამართლოს უფლება და მართლმსაჯულება

8.1 უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესი

2021 წლის 1-ლ აპრილს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონით გათვალისწინებულ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის წესში, საპარლამენტო ოპოზიციის მონაწილეობის გარეშე, არსებითი ცვლილებები შევიდა.[165] მათ

---

164 https://bm.ge/ka/article/pandemiis-dros-jarimebis-chamowera-mizanshewonili-ar-iyo---idfi/87421/ [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

165 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს პარლამენტის მიერ 2021 წლის 1 აპრილს მიღებული საქართველოს ორგანული კანონი #447-IVმს-Xმპ, იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5140642?publication=0 [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

შორის გაიწერა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ კანდიდატთა შეფასების/მათი გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება და დაემატა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმი. ამ პერიოდისათვის იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის 3 პროცედურა უკვე დაწყებული ჰქონდა და, მათ შორის თითქმის დასრულებული იყო კანდიდატების საჯარო მოსმენა პირველი პროცედურის ფარგლებში. ამასთან, ევროკავშირის მედიაციის შედეგად პოლიტიკურ პარტიათა შორის 2021 წლის 19 აპრილს მიღწეული შეთანხმების მიხედვით,[166] უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურები უნდა შეჩერებულიყო. სწორედ ამის შესახებ გასცა რეკომენდაცია ვენეციის კომისიამ[167] და სხვა საერთაშორისო აქტორებმაც,[168] რათა უზრუნველყოფილიყო, ერთი მხრივ, კანდიდატთა მიმართ თანაბარი მოპყრობა და, მეორე მხრივ, შესრულებულიყო 19 აპრილის შეთანხმების პირობები. თუმცა, შერჩევის პროცედურები იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს პარლამენტში მაინც გაგრძელდა, რაც მწვავედ გააკრიტიკა არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ თუ აქტორმა.[169]

<u>შერჩევის პირველი პროცესი</u>

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის 2020 წლის 7 ოქტომბერს დაწყებული პირველი პროცედურა 2021 წელს დასრულდა. იგი მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე იყო გამოცხადებული.[170] მასში, საერთო ჯამში, 52 პირი დარეგისტრირდა კანდიდატად, რომელთაგან ნაწილმა საჯარო მოსმენამდე, ნაწილმა კი მის შემდეგ მოხსნა თავისი კანდიდატურა. შედეგად იუსტიციის უმაღლესი საბჭო მხოლოდ 39 კანდიდატს გაესაუბრა და მათგან მხოლოდ 33 კანდიდატი შეფასდა საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმების

---

166 https://eeas.europa.eu/delegations/georgia/96787/node/96787_ka [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021]; https://tabula.ge/ge/news/665950-ra-ceria-sharl-mishelis-mier-mkhareebistvis [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

167 https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2021)007-e [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

168 https://cutt.ly/nYhi1zA [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021]; https://cutt.ly/hYhi5yU [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021]; https://tabula.ge/ge/news/669053-degnani-parlamenti-valdebulia-sheacheros [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021]; https://tabula.ge/ge/news/667646-iustitsiis-umaghles-sabchosa-uzenaesshi [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

169 https://tabula.ge/ge/news/670260-sakhdepi-uzenaesis-mosamartleta-danishvna [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021];
https://ge.usembassy.gov/u-s-embassy-statement-on-the-appointment-of-judges/ [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021];
https://bit.ly/3314row [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021]; https://bit.ly/3Idv8q2 [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021]; https://cutt.ly/hYhojLW [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021]; https://netgazeti.ge/news/553462/ [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

170 http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/2/134.pdf] [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

საფუძველზე.[171] საბოლოო ჯამში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2021 წლის 17 ივნისს საუკეთესო შედეგების მქონე 9 კანდიდატი წარუდგინა საქართველოს პარლამენტს.[172]

2021 წლის 6-10 ივლისს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატების საჯარო მოსმენები საპარლამენტო ოპოზიციის უმრავლესობის მონაწილეობის გარეშე გაიმართა. 12 ივლისს კი საქართველოს პარლამენტმა რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე, 19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთების საწინააღმდეგოდ, 6 კანდიდატი[173] აირჩია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად.[174] უნდა აღინიშნოს, რომ ახლად არჩეულ მოსამართლეებს შორის, წარსული პროცესების მსგავსად, კვლავ სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან აფილირებული პირები იყვნენ, რამაც მმართველ პოლიტიკურ ძალასა და სასამართლო „კლანს“ შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის შესახებ ეჭვები და „კლანის“ გავლენები უზენაეს სასამართლოზე კიდევ უფრო გააძლიერა.

აღნიშნული დანიშვნების მიმართ „ღრმა შეშფოთება“ გამოთქვა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა.[175] მისი განცხადებით, ეს დანიშვნები 19 აპრილის შეთანხმებას ეწინააღმდეგებოდა, რომელიც ხელმომწერ მხარეებს უზენაეს სასამართლოში ახალი კანდიდატების დანიშვნის პროცესის შეჩერებას ავალდებულებდა მანამ, სანამ არ გატარდებოდა „ამბიციური სასამართლო რეფორმები“, ინკლუზიური, მრავალპარტიული პროცესის მისაღებად.[176] ეს პროცესი „უკიდურესად იმედგამაცრუებლად“, „საქართველოს მართლმსაჯულების მიმართ ნდობის გაძლიერებისა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების დაკარგულ შესაძლებლობად“ შეაფასა საქართველოში აშშ-ს საელჩომ.[177] ამ პროცესთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, ასევე, ევროკომისიის პრეს-სპიკერმაც, რომელმაც, გარდა იმისა, რომ აღნიშნული დანიშვნები 19 აპრილის შეთანხმებასთან შეუსაბამოდ მიიჩნია, დამატებით იმაზეც მიუთითა, რომ [უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა] „ეს კენჭისყრა საქართველოს ხელისუფლებისთვის [იყო] დაკარგული შესაძლებლობა სასამართლო სისტემის ჭეშმარიტი და ყოვლისმომცველი რეფორმის მიმართ თავისი ერთგულების დამტკიცებისთვის.“[178]

აქვე საყურადღებოა, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით[179] დადგენილი 2-კვირიანი ვადის დარღვევით, 6

---

[171] https://bit.ly/3CU2mag [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[172] https://bit.ly/3xqJFcY [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[173] ეს კანდიდატები არიან: გოჩა აბუსერიძე, გიორგი გოგიაშვილი, ლევან თევზაძე, რევაზ ნადარაია, ბიძინა სტურუა და ლაშა ქოჩიაშვილი
[174] https://bit.ly/3FRv5hC [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[175] https://tabula.ge/ge/news/670260-sakhdepi-uzenaesis-mosamartleta-danishvna [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[176] https://tabula.ge/ge/news/670260-sakhdepi-uzenaesis-mosamartleta-danishvna [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[177] https://ge.usembassy.gov/u-s-embassy-statement-on-the-appointment-of-judges/ [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[178] . https://bit.ly/3Idv8q2 [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[179] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-15 პუნქტი.

მოსამართლის არჩევიდან თითქმის 4 თვის შემდეგ შეარჩია და 2021 წლის 12 ნოემბერს საქართველოს პარლამენტს წარუდგინა პირველი პროცესის ფარგლებში დარეგისტრირებულ კანდიდატთა სიიდან 3 კანდიდატი[180] დარჩენილ 3 ვაკანტურ თანამდებობაზე.[181] მათი საჯარო მოსმენები საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში 2021 წლის 25-26 ნოემბერს გაიმართა.[182] 2021 წლის 1-ლ დეკემბერს კი ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ სამივე მათგანი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად აირჩია.[183]

<u>შერჩევის მეორე პროცესი</u>

2020 წლის 2 ნოემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს მეორე პროცედურა დაიწყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე.[184] მის ფარგლებში საჯარო მოსმენები 2021 წლის 28 ივნისიდან 1-ლი ივლისის ჩათვლით მიმდინარეობდა.[185] საყურადღებოა, რომ ამ პერიოდისათვის უფლებამოსილების ვადა ამოწურული ჰქონდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 არამოსამართლე წევრს, რომლებიც საქართველოს პარლამენტის მიერ იყვნენ არჩეული. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჯარო მოსმენებზე ნაკლებად გაისმოდა კრიტიკული შეკითხვები.

შერჩევის ამ პროცედურაზე დარეგისტრირებული 22 კანდიდატიდან[186] იუსტიციის უმაღლესი საბჭო მხოლოდ 6-ს[187] გაესაუბრა, აქედან ერთმა - დიმიტრი გვრიტიშვილმა - თავისი კანდიდატურა საჯარო მოსმენის შემდეგ მოხსნა. დარჩენილი 5 კანდიდატიდან იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2021 წლის 23 ივლისს საქართველოს პარლამენტს გენადი მაკარიძე წარუდგინა,[188] რომლის საჯარო მოსმენაც საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში 2021 წლის 25 ნოემბერს გაიმართა.[189] 2021 წლის 1-ლ დეკემბერს კი ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ 81 ხმით 5-ის წინააღმდეგ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გენადი მაკარიძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა.[190]

<u>შერჩევის მესამე პროცესი</u>

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის მესამე პროცესი იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 20 ნოემბერს დაიწყო 1 ვაკანტურ

---

[180] ეს კანდიდატები არიან: თამარ ოქროპირიძე, ნინო სანდოძე და თეა ძიმისტარაშვილი.
[181] https://bit.ly/3lcBJHj [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[182] https://bit.ly/32vqWl3 [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[183] https://bit.ly/3xR2OFi [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[184] https://bit.ly/3cT1l7K [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[185] https://bit.ly/30WJ6vn [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[186] http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/2/214-2020.pdf [ბოლო ნახვა 25.11.2021]
[187] ეს კანდიდატები არიან: ლევან კოკორაშვილი, გენადი მაკარიძე, ნინო ხარიტონაშვილი, თამარ ოქროპირიძე, დიმიტრი გვრიტიშვილი და თამარ ალფაიძე. დარჩენილი კანდიდატებიდან ამ დროისათვის 4 უკვე წარდგენილი იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე, ხოლო დანარჩენებმა, სავარაუდოდ, კანდიდატურები მოხსნეს.
[188] https://bit.ly/3DXWyOi [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[189] https://cutt.ly/TYhoN4v [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[190] https://bit.ly/3xR2OFi [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

თანამდებობაზე.[191] ამ ეტაპზე მის ფარგლებში დარეგისტრირებულ კანდიდატად დაახლოებით 17 პირი რჩება.[192] იუსტიციის საბჭომ მათთან გასაუბრებები 2021 წლის 11 ნოემბერს დაიწყო[193] და ჯერჯერობით მხოლოდ 5 კანდიდატს[194] მოუსმინა.

8.2 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევა

<u>მოსამართლე წევრები</u>

2020-2021 წლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების შემადგენლობა თითქმის სრულად შეიცვალა. იუსტიციის უმაღლესი საბჭო 8 მოსამართლე წევრიდან 6-მა დატოვა, მათგან 4-ს[195] უფლებამოსილების ვადა ამოეწურა, 2-მა[196] კი განცხადებით მიმართა იუსტიციის საბჭოს უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტასთან დაკავშირებით. შესაბამისად, 2021 წელს წარმოქმნილი ვაკანტური თანამდებობების შესავსებად საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენცია 2-ჯერ ჩატარდა, 26 მაისსა და 31 ოქტომბერს.[197] პირველ მათგანზე მოსამართლეებმა 4 მოსამართლე წევრი - გოჩა აბუსერიძე, ბადრი შონია, თემურ გოგოხია და ლევან მიქაბერიძე აირჩიეს,[198] ხოლო 31 ოქტომბრის კონფერენციაზე - 2 წევრი - გიორგი გოგინაშვილი და პაატა სილაგაძე.[199] კონფერენციაზე კვლავ გაგრძელდა წინა წლების მანკიერი ტენდენცია. კერძოდ, იუსტიციის საბჭოს წევრობის არცერთ კანდიდატს არ წარუდგენია მოსამართლეებისათვის სასამართლო სისტემასთან, იქ არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებთან, სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ხედვები. თუმცა, ისინი მაინც ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით იქნენ არჩეული თანამდებობაზე. შესაბამისად, ამჟამად იუსტიციის უმაღლესი საბჭო კვლავ მოსამართლეთა „კლანის“ მიერ შერჩეული წევრებისგან შედგება, რომლებიც სწორედ ამ გავლენიანი ჯგუფის პოლიტიკას ატარებენ და დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს არსებობას ძირს უთხრიან.

საყურადღებოა, რომ 31 ოქტომბრის მოსამართლეთა კონფერენცია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის მომდევნო დღეს, ქვეყანაში არსებული მწვავე პოლიტიკური კრიზისის ფონზე გაიმართა, რაც იმგვარ აღქმას ტოვებდა საზოგადოებაში, რომ „კლანი“ ძალაუფლების განმტკიცების სურვილით ნაჩქარევად, არსებული კრიზისის გამოყენებითა და რეფორმების არარსებობის პირობებში ცდილობდა

---

[191] http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/2/207-2020.pdf [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[192] მოცემულ შემთხვევაში კანდიდატთა შორის არიან უკვე უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ არჩეული 5 პირი და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი 2 პირი. ამასთან, ერთმა კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა.

[193] https://bit.ly/3nXqAfz [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[194] ეს კანდიდატები არიან: ბესარიონ ალავიძე, გია ბერაია, ნუგზარ სალია, ამირან ძაბუნიძე და თამარ ალანია.

[195] ირაკლი შენგელია, ვასილ მშვენიერაძე, ირაკლი ბონდარენკო და დიმიტრი გვრიტიშვილი.

[196] ეს მოსამართლე წევრები იყვნენ თამარ ონიანი და თეა ლეონიძე. მათ მიერ იუსტიციის საბჭოს დატოვების შესახებ, მიუხედავად ინფორმაციის მოპოვების არაერთი მცდელობისა, მხოლოდ უშუალოდ მოსამართლეთა კონფერენციაზე გახდა ცნობილი.

[197] https://www.supremecourt.ge/news/id/2133 [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021]; https://www.supremecourt.ge/news/id/2156 [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[198] https://bit.ly/3r7BpO2 [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

[199] https://bit.ly/3CWNqrC [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

მნიშვნელოვანი და სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული პროცესი მწვავედ გააკრიტიკა აშშ-ს საელჩომ: „დასანანია, რომ სასამართლო სისტემამ ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა წარმოეჩინა გამჭვირვალობა და კვლავ ვერ შეძლო თავისი წევრების არჩევა კონკურენტული და დემოკრატიული საარჩევნო პროცესის მეშვეობით."[200]გარდა აშშ-ს საელჩოსა, პროცესი „ნაჩქარევად", „გაუმჭვირვალედ" და „არაკონკურენტულად" მიიჩნია საქართველოში ევროკავშირის ელჩმაც.[201] მან მოსამართლეთა კონფერენციის მიერ იუსტიციის საბჭოს ორი ახალი წევრის არჩევა ბოლო 4 თვის განმავლობაში „საქართველოში სასამართლო სისტემისა და კანონის უზენაესობის სფეროში რიგით მეხუთე უკან გადადგმულ ნაბიჯად" შეაფასა.[202] ამ კრიტიკის საპასუხოდ მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულმა კომიტეტმა გაავრცელა განცხადება[203], რომელშიც იგი დასავლელ პარტნიორებს ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევასა და ვენის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობაში ადანაშაულებდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ განცხადებას სოციალური ქსელით სამივე ინსტანციის სასამართლოდან 23 მოსამართლე[204] გაემიჯნა, რომლებიც თავიანთ განცხადებებში ყურადღებას ამახვილებდნენ დასავლელი პარტნიორების წვლილზე საქართველოში კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულების განმტკიცების თვალსაზრისით და მიუღებლად მიიჩნევდნენ მათ მიმართ ამგვარი ბრალდებების გაჟღერებას.

<u>არამოსამართლე წევრები</u>

2021 წლის მარტსა და ივნისში იუსტიციის საბჭოს 5 არამოსამართლე წევრს ამოეწურა უფლებამოსილების ვადა,[205] თუმცა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოქმნილ ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევის პროცესი საქართველოს პარლამენტს ამ დრომდე არ დაუწყია. ამრიგად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქმიანობას პარლამენტის მიერ არჩეული წევრებისა და, შესაბამისად, განსხვავებული აზრის მოსმენისა თუ გათვალისწინების გარეშე ახორციელებს.

9. პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები

9.1 მიხეილ სააკაშვილის საქმე

საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი 2018 წლის 28 ივნისის განაჩენით დამნაშავედ იქნა ცნობილი 2005 წლის 14 ივლისს ყოფილი დეპუტატ, ვალერი გელაშვილზე თავდასხმის საქმეში.[206] 2018 წლის 5 იანვარს კი ყოფილი პრეზიდენტის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი 2008 წლის 24 ნოემბერს სანდრო

---

200 https://ge.usembassy.gov/ka/u-s-embassy-statement-on-conference-of-judges-2-ka/ [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

201 https://bit.ly/3InfWGO [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

202 https://bit.ly/3InfWGO [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

203 https://bit.ly/3DZzoXH [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

204 https://bit.ly/3nTzUko [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

205 https://bit.ly/3laWu6p [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

206 https://civil.ge/ka/archives/267176 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

გირგვლიანის გახმაურებულ საქმეზე მსჯავრდებულთა შეწყალების გამო[207]. გარდა ამისა, მას ბრალი წარუდგინეს 2009 წლის სექტემბრიდან 2013 წლის თებერვლამდე პერიოდში საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის (ე.წ. „პიჯაკების საქმე“)[208], 2007 წლის 7 ნოემბერს დემონსტრანტთა საპროტესტო აქციის მასობრივი დარბევისა და ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის საქმეებზე. [209] ამასთან, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ 2021 წლის 20 ოქტომბერს ექსპრეზიდენტს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის საფუძველზე ახალი ბრალი წარუდგინა, რაც სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთას გულისხმობს.[210]

2021 წლის პირველ ოქტომბერს, მიხეილ სააკაშვილის მიერ საქართველოში შემოსვლის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გავრცელებიდან რამდენიმე საათში, შს სამინისტროს თანამშრომლებმა იგი ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დააკავეს.[211] გასათვალისწინებელია 3 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის საჯარო განცხადება: [მიხეილ სააკაშვილი] "წესიერად მოიქცეს, თორემ დავუმატებთ კიდევ სხვა მუხლებს და სხვებსაც მივაყოლებთ"[212]. გარდა ამისა, მანვე აღნიშნა: „სააკაშვილი ან უნდა დაგვეჭირა, ან წასულიყო პოლიტიკიდან.“[213]

მესამე პრეზიდენტის დაკავების ფაქტს არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივი განცხადებით გამოეხმაურნენ. მათი განმარტებით, პრემიერ-მინისტრის განცხადებამ მკაფიოდ ცხადყო, რომ ყოფილი პრეზიდენტის მსჯავრდება იყო პოლიტიკური შინაარსის, განპირობებული იყო მმართველი პოლიტიკური ძალის გადაწყვეტილებით და კავშირი არ ჰქონდა მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების განხორციელებასთან.[214] გარდა ამისა, უცხოელმა პოლიტიკოსებმა მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების საკითხზე მიმართეს ევროპული საბჭოს, ევროკომისიისა და ევროპარლამენტის პრეზიდენტებს. მათი თქმით, პატიმრობა სამართლიანი სასამართლო პროცესის გამართვამდე უნდა შეჩერდეს. ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ „პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულების ხანა საბოლოოდ უნდა დასრულდეს საქართველოში“.[215]

მიხეილ სააკაშვილმა დაკავების შემდეგ შიმშილობა გამოაცხადა.[216] 13 ოქტომბერს იუსტიციის მინისტრის, რატი ბრეგაძის, განცხადებით, ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით შეიქმნა ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფი.[217] საჭიროების შემთხვევაში, ექსპრეზიდენტის გადაყვანა N18 სამკურნალო დაწესებულებაში მოხდებოდა. ექიმთა კონსილიუმის დასკვნის შედეგად

---

[207] https://civil.ge/ka/archives/219224 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[208] https://civil.ge/ka/archives/153353 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[209] https://civil.ge/ka/archives/153307[უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].]
[210] https://cutt.ly/iTjlQZX [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[211] https://www.youtube.com/watch?v=ijpuHiVt4lI [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[212] https://tabula.ge/ge/news/673991-premieri-saakashvilze-cesierad-moiktses-torem
[213] https://cutt.ly/7TjlHyf [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[214] https://osgf.ge/mikheil-saakashvilis-mimart-ikveteba-politikurad-motivirebuli-martlmsajuleba/ [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[215] https://civil.ge/ka/archives/448543 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[216] https://formulanews.ge/News/58037 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[217] https://www.facebook.com/watch/?v=1304532473298251 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

გამოიკვეთა, რომ რეკომენდირებული იყო ყოფილი პრეზიდენტის მულტიპროფილურ კლინიკაში გადაყვანა.[218] სახალხო დამცველის მიერ N18 დაწესებულების შემოწმების შედეგად კი დადგინდა, რომ სრულყოფილი მკურნალობისათვის აუცილებელ პირობებს იგი ვერ აკმაყოფილებდა.[219]

შიმშილობის პერიოდში, პენიტენციურმა სამსახურმა არაერთხელ გაავრცელა მიხეილ სააკაშვილის ციხეში ყოფნის კადრები, მათ შორის ისინი, რომლებიც ასახავდა „საკვებისა და ნატურალური წვენების მიღების პროცესს.“[220] თუმცა, ყოფილი პრეზიდენტის მიერ მიღებული დანამატები არ წარმოადგენდა საკვებს და მას ჰქონდა სასიცოცხლო პარამეტრების შენარჩუნების დანიშნულება.[221] ამის მიუხედავად, სპეკულაციების გამორიცხვის საფუძვლით, სააკაშვილმა მინერალებისა და ვიტამინების მიღებაც შეწყვიტა, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა.[222] იმის გათვალისწინებით, რომ პატიმარი იმყოფებოდა მულტისისტემური გართულებების რისკის ქვეშ[223], გლდანის ციხის საავადმყოფო კი არ იძლეოდა ადეკვატური სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის შესაძლებლობას, სამოქალაქო სექტორი და სახალხო დამცველი ხელისუფლებას ექსპრეზიდენტის მრავალპროფილურ კლინიკაში გადაყვანას სთხოვდა, თუმცა უშედეგოდ.[224]

8 ნოემბერს იუსტიციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, „ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების პრევენციის მიზნით და მომატებული საფრთხეებიდან გამომდინარე“ სააკაშვილი N18 სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს,[225] თუმცა ადვოკატებისა და ოჯახის წევრებისთვის ამის შესახებ მოგვიანებით გახდა ცნობილი.

გარდა ამისა, პენიტენციური სამსახურის ოფიციალურ Facebook გვერდზე გამოქვეყნდა სააკაშვილის N12 პენიტენციური დაწესებულებიდან გასვლის კადრები იმის დასადასტურებლად, რომ „პატიმარ მიხეილ სააკაშვილს არ დაუტოვებია პენიტენციური დაწესებულება მისი ნების საწინააღმდეგოდ.“[226] თუმცა სახალხო დამცველის განცხადებიდან ცნობილი გახდა, რომ ყოფილი პრეზიდენტი ძალის გამოყენებით და

---

[218] https://civil.ge/ka/archives/450011 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[219] https://cutt.ly/2THvvhm [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[220] https://cutt.ly/wTHvURW [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[221] https://report.ge/society/30-50-miligrami-danamatis-migheba-khdeboda/ [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[222] https://www.radiotavisupleba.ge/a/31548935.html [უკანასკნელად ნანახია 26.11.2021]
[223] *კონსილიუმის დასკვნის თანახმად, "პაციენტი იმყოფება მულტისისტემური გართულებების მაღალ რისკში. საჭიროებს მკურნალობას მულტიპროფილურ, მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო დაწესებულებაში გადაუდებლად, სადაც საშუალება იქნება ჩაუტარდეს შესაბამისი: კარდიო ვასკულური, ნევროლოგიური, სამკურნალო და დიაგნოსტიკური რადიოლოგიური (მრტ. კტ. კათეტერიზაციის ლაბორატორია), ჰემატოლოგიური, ენდოკრინული, ნუტრიციული თერაპია."* https://www.radiotavisupleba.ge/a/31551550.html [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[224] https://rb.gy/im8gtw [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[225] https://www.radiotavisupleba.ge/a/31551411.html [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[226] https://www.facebook.com/watch/?v=620434046072480 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

მოტყუებით შეასახლეს სასჯელაღსრულების N18 სამკურნალო დაწესებულებაში. სააკაშვილის ცნ, მას ეგონა, რომ მულტიფუნქციურ კლინიკაში გადაჰყავდათ[227].

ასევე, პატივისა და ღირსების შელმახველ მოპყრობად შეფასდა ექსპრეზიდენტის გლდანის ციხეში შესახლების ფაქტი, ვინაიდან პენიტენციური სამსახურის მიერ გასაჯაროვებული ვიდეოდან[228] ჩანს, თუ როგორ შეჰყავთ ძალის გამოყენებით ყოფილი პრეზიდენტი - ნახევრად შიშველ და დამამცირებელ მდგომარეობაში მყოფი.[229] ყოფილი პრეზიდენტის N18 დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ გლდანის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულების პატიმართა მხრიდან ისმოდა შურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი შეძახილები.[230] საბოლოოდ კი, N18 დაწესებულებაში გადაყვანისას სააკაშვილმა განიცადა ფსიქოლოგიური და ფიზიკური წამება.[231]

აღსანიშნავია, რომ 10 ნოემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო დროებითი ღონისძიება, რომლითაც სახელმწიფოს მიხეილ სააკაშვილის უსაფრთხოებისა და მისთვის შიმშილობის შემდგომი პერიოდისთვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა დაევალა.[232] მოგვიანებით, სახალხო დამცელმა მესამე პრეზიდენტისთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობისა და დროულობის მონიტორინგის მიზნით მულტიპროფილური სამედიცინო ექსპერტთა ჯგუფი შექმნა, რომლის დასკვნასაც[233] ევროსასამართლო მეორე დროებითი ღონისძიების მიღებისას დაეყრდნო და, შედეგად, ხელისუფლებას ახალ, შეცვლილ სამედიცინო გარემოებებზე დაყრდნობით ადეკვატური სამედიცინო დახმარების გაწევისკენ მოუწოდა.[234]

მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა ჯანმრთელობის გაუარესების შედეგად გონება დაკარგა[235], N18 სამკურნალო დაწესებულებიდან გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს.[236] გასათვალისწინებელია, რომ ამ გადაწყვეტილების გასაჯაროების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ევროპულმა სასამართლომ მეორე დროებითი ღონისძიება გამოსცა, სადაც კიდევ ერთხელ დააკონკრეტა, რომ სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო სააკაშვილის მკურნალობა სათანადო დაწესებულებაში. სამინისტროს გადაწყვეტილებას საფუძვლად სავარაუდოდ სწორედ სასამართლოს ეს განჩინება დაედო.

---

[227] https://cutt.ly/2THblr0 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[228] https://www.facebook.com/watch/?v=1061505497963689 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[229] https://cutt.ly/HTHbWH5 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[230] https://cutt.ly/HTjlMQf [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[231] https://tinyurl.com/5f66v2tf [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[232] https://civil.ge/archives/454297 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[233] *ექსპერტთა ჯგუფმა მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა შეაფასა, როგორც „კრიტიკული“ სტატუსის მქონედ. ასევე, სამკურნალო დაწესებულებაში უნდა არსებობდეს შესაბამისი აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა, მულტიდისციპლინური სამედიცინო პერსონალი, რთული პაციენტის მართვის გამოცდილება და სამედიცინო მომსახურების 24 საათიანი და გადაუდებელი ხელმისაწვდომობა. სამკურნალო დაწესებულების სიტუაციური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ N18 დაწესებულება ვერ აკმაყოფილებდა ზემოხსენებულ მოთხოვნებს,* იხ: https://cutt.ly/ZYlJKgj.
[234] https://www.radiotavisupleba.ge/a/31573950.html [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[235] https://civil.ge/ka/archives/456362
[236] https://cutt.ly/SYhddyF [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

გარდა ამისა, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მიხეილ სააკაშვილთან მოსანახულებლად ჩამოსული არაერთი ვიზიტორი არ შეუშვეს, მათ შორის ევროპარლამენტარი ანა ფოტიგა,[237] უკრაინის სახალხო დამცველი ლუდმილა დენისოვა,[238] სააკაშვილის უკრაინელი ადვოკატი[239], უკრაინელი ჟურნალისტი დიმიტრი გორდონი[240] და სხვ. გასათვალისწინებელია, რომ მიხეილ სააკაშვილის პირად ექიმს, ნიკოლოზ ყიფშიძესაც შეექმნა დაბრკოლებები ყოფილ პრეზიდენტთან ვიზიტისას. კერძოდ, იგი რამდენჯერმე არ შეუშვეს მასთან გლდანის ციხეში.[241] 14 ნოემბერს 2-საათიანი ლოდინის მიუხედავად, ექსპრეზიდენტთან არ შეუშვეს კონსილიუმის წევრებიც არასამუშაო საათების მოტივით.[242]

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებამდე, 2021 წელს რამდენიმე სასამართლო პროცესი გაიმართა მის წინააღმდეგ. ე.წ. „პიჯაკების საქმეზე“ 2021 წლის 2 თებერვალს მოსამართლემ ძალაში დატოვა აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა.[243] მომდევნო სხდომაზე დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გადაიხედა ექსპრეზიდენტის მიმართ გამოყენებული აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის საკითხი, თუმცა მოსამართლემ აღკვეთი ღონისძიება არ შეცვალა.[244]

მიხეილ სააკაშვილს საქართველოში დაბრუნებისა და დაპატიმრების შემდეგ მის წინააღმდეგ არსებული საქმეების პროცესებზე დასწრების საშუალება არ ეძლეოდა.[245] პენიტენციური სამსახურის განმარტებით, პატიმრის გადაყვანა დაუშვებელი იყო ესკორტირებისას შესაძლო საფრთხისა და ჯანმრთელობისათვის დამატებითი რისკის საფუძვლით.[246] სასამართლო პენიტენციური სამსახურის არგუმენტების გამოკვლევაში აღარ შესულა და უაპელაციოდ გაიზიარა.[247] ამიტომ ექსპრეზიდენტმა უარი განაცხადა პროცესში დისტანციურად ჩართვაზე, მაშინ როცა 16 ნოემბრის პროცესზე[248] მოსამართლემ პენიტენციურ სამსახურს მიხეილ სააკაშვილის პროცესზე დასწრება ან დისტანციურად ჩართვა მოსთხოვა პატიმართან შეთანხმების გარეშე.[249]

აღსანიშნავია, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა დაბეჯითებით მოუწოდა საქართველოს მთავრობას, ერთი მხრივ, სამართლიანად და ღირსეულად მოეპყრას

---

[237] https://cutt.ly/sTHnbcG [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[238] https://cutt.ly/bTHnrmy [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[239] https://www.radiotavisupleba.ge/a/31531776.html [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[240] https://cutt.ly/HTHnfGq [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[241] https://www.facebook.com/watch/?v=4922038484515523 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[242] https://formulanews.ge/News/60162 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[243] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის საქმეებზე: 02.02.2021; https://cutt.ly/HTV2eI9 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[244] იქვე; ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის საქმეებზე: 30.03.2021, იხ: https://cutt.ly/JYzww4J [უკანასკნელად ნანახია 07.12.2021].
[245] https://formulanews.ge/News/60263 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[246] https://www.radiotavisupleba.ge/a/31554521.html [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021]; https://cutt.ly/UTHRuL2 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[247] https://www.radiotavisupleba.ge/a/31555396.html [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[248] საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთაზე.
[249] https://cutt.ly/7TV2acg [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

ექსპრეზიდენტს, მეორე მხრივ კი, მისცეს შესაძლებლობა, პირადად დაესწროს მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვებს სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლებში.[250]

9.2 ნიკა მელიას საქმე

2019 წლის 25 ივნისს საქართველოს პროკურატურამ ნიკა მელიას, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მოქმედ თავმჯდომარეს, 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით ჯგუფური ძალადობის ორგანიზებასა და მასში მონაწილეობისათვის[251] ბრალი წარუდგინა.[252] ბრალდების დადგენილების თანახმად, პარლამენტის წევრმა ნიკანორ მელიამ დემონსტრანტებს მოუწოდა პარლამენტის შენობაში შეჭრისაკენ, რის შემდეგაც, მისივე ხელმძღანელობითა და უშუალო მონაწილეობით აქციის მონაწილეებმა გადაინაცვლეს პარლამენტის შენობასთან და განახორციელეს ძალადობრივი ქმედებები.[253]

2019 წლის 26 ივნისს პარლამენტმა საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ნიკა მელიას სადეპუტატო იმუნიტეტი მოუხსნა, რის შემდეგაც თბილისის საქალაქო სასამართლომ ნიკა მელიას გირაო შეუფარდა, ხოლო მოგვიანებით, დამატებით გამოყენებულ იქნა ელექტრონული მონიტორინგი.[254]

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 1 ნოემბერს ნიკა მელიამ სიტყვით გამოსვლისას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას დემონსტრაციულად მოიხსნა ელექტრონული მონიტორინგის სამაჯური. პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ გირაოს ოდენობა გაზარდა.[255] მელიამ გირაოს თანხა არ გადაიხადა, შედეგად კი 2021 წლის 12 თებერვალს პროკურატურამ იმუნიტეტის მოხსნისა[256] და პატიმრობის გამოყენებაზე ნებართვის გაცემის თაობაზე პარლამენტს მიმართა, რომელმაც დააკმაყოფილა შუამდგომლობა.[257]

ნიკა მელიას მიმართ მიმდინარე პროცესებმა სამოქალაქო სექტორის მწვავე კრიტიკა გამოიწვია. არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოუწოდეს საქართველოს პროკურატურას მძიმე პოლიტიკური კრიზისის გათვალისწინებით უარი ეთქვა აღკვეთი ღონისძიების შეცვლაზე.[258]

2021 წლის 17 თებერვალს სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს გენერალური პროკურორის, ირაკლი შოთაძის შუამდგომლობა და ბრალდებული ნიკა მელიასათვის

---

[250] https://cutt.ly/JTHRR2K [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[251] სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაული;

[252] https://pog.gov.ge/news/parlamentis-wevris-nikanor-melias-braldebis-shesaxeb-dadgenileba-prokuraturam-misi-interesebis-damcv [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[253] ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი ანალიზი, ,,20-21 ივნისის მოვლენები", გვ. 5-6. https://cutt.ly/DTV4d4l [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[254] https://cutt.ly/8TV2dc8 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[255] იქვე.

[256] 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებზე ნიკა მელია საარჩევნო ბლოკ „ენმ-ძალა ერთობაშია-ს" პროპორციული სიით პარლამენტის დეპუტატი გახდა.

[257] https://civil.ge/ka/archives/397920 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[258] https://gdi.ge/ge/news/ngos-statement-17-02-2021.page [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

შეფარდებული აღკვეთი ღონისძიება - გირაო შეცვალა პატიმრობით.[259] სამართალდამცავები 2021 წლის 23 თებერვალს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისში შეიჭრნენ და ჩატარებული ოპერაციის შედეგად მელია ძალის გამოყენებით დააკავეს.[260] კერძოდ, პოლიციელების ნაწილი შენობაში შესასვლელებიდან, ნაწილი კი სახანძრო ავტომანქანის კიბის გამოყენებით შევიდა. გატეხეს ოთახის კარი, სადაც მელია იმყოფებოდა. შენობაში გაუშვეს ცრემლსადენი გაზი.[261]

არასამთავრობო სექტორის განცხადებებით, ნიკა მელიას დაპატიმრება კანონის აღსრულების შერჩევითი მიდგომებისა და პოლიტიკურად მოტივირებული გამოძიებების მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენდა.[262] გასათვალისწინებელია, რომ 23-მა საერთაშორისო წარმომადგენელმა ერთობლივი ღია წერილით „ღრმა შეშფოთება“ გამოთქვა ოპოზიციური ლიდერის დაკავებასთან და მიმდინარე პოლიტიკურ კრიზისთან დაკავშირებით, რაც მათი თქმით, აზიანებდა „საქართველოს, როგორც რეგიონში სტაბილური პარტნიორის საერთაშორისო იმიჯს და რეპუტაციას“.[263]

შარლ მიშელის შეთანხმების ფარგლებში,[264] 2021 წლის 8 მაისს პოლიტიკური კრიზისის დასრულების მიზნით ნიკა მელიას გირაოს თანხა ევროპულმა ფონდმა დემოკრატიისთვის (European Endowment for Democracy) გამოყო.[265] მომდევნო დღეს კი პროკურატურამ იშუამდგომლა აღკვეთი ღონისძიების გირაოთი შეცვლის თაობაზე.[266] შედეგად, 10 მაისს ნიკა მელიამ სასჯელაღსრულების დაწესებულება დატოვა.[267]

9.3 დავით კეზერაშვილის საქმე

2021 წლის 7 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ახლად უვადოდ განმწესებულმა მოსამართლეებმა 10 წლიანი თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს[268] დავით კეზერაშვილს, თავდაცვის ყოფილ მინისტრს და „ფორმულას“ დამფუძნებელს ე.წ. „წვრთნების საქმეზე“, რომელზეც ქვედა ინსტანციებს გამამართლებელი განაჩენი ჰქონდათ გამოტანილი[269]. დავით კეზერაშვილს სახელმწიფო სახსრების გაფლანგვას ედავებოდა.[270]

---

[259] https://www.radiotavisupleba.ge/a/31107595.html [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[260] https://civil.ge/ka/archives/400101 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021]; https://www.youtube.com/watch?v=NtIcjQxt-pM [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[261] https://www.radiotavisupleba.ge/a/31116776.html [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[262] https://gdi.ge/ge/news/pozicia-politikuri-krizisidan-gamosvlis-taobaze.page [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[263] https://civil.ge/ka/archives/404310 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021]; https://civil.ge/ka/archives/404537 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[264] https://eeas.europa.eu/sites/default/files/210418_mediation_way_ahead_for_publication.pdf [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[265] https://cutt.ly/MTVrDKd [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[266] https://cutt.ly/JTVrGL6 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[267] https://civil.ge/ka/archives/418808 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[268] აღნიშნული სასჯელი ამნისტიის შედეგად განახევრდა https://cutt.ly/GTV2Qfj [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[269] https://cutt.ly/GTV2Qfj [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[270] „გამოძიების ინფორმაციით, 2008 წლის 10 იანვარს დავით კეზერაშვილმა ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ, მასთან დაკავშირებულ კომპანიას, „Girwood Business Corp-ს" ხელშეკრულება გაუფორმა, რითაც სახელმწიფოს კუთვნილი 5 685 000 ევრო გაფლაგა“ - იხ:

მნიშვნელოვანია, რომ საქმის განახლებას წინ უძღოდა 25 ივნისს პრემიერის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება: "მე რაც წავედი, მერე გაამართლეთ თქვენ ის. ახლა მიხედავენ, როგორც ჩანს".[271]

აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანია „ფორმულას“ მენეჯმენტმა საქმის განახლება მაუწყებლის კრიტიკულ სარედაქციო პოლიტიკას დაუკავშირა.[272] პრობლემური იყო ის, რომ 7 სექტემბერს უზენაესის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ ჰქონდა სამოტივაციო ნაწილი. აღნიშნული სახალხო დამცველისთვის მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც მიღებული გადაწყვეტილების გამოთხოვა გადაწყვიტა: „საგულისხმოა და საყურადღებოა რატომ იღებს ასე დაჩქარებულად გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლო, ისე, რომ სამოტივაციო ნაწილზეც არ ჰქონდათ მსჯელობა“.[273]

კეზერაშვილის წინააღმდეგ საქმის წარმოების პოლიტიზირებული მოტივი დაადგინა საერთაშორისო სექტორმაც ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქართულმა მხარემ თავდაცვის ყოფილი მინისტრის საქართველოში ექსტრადირება ორჯერ მოითხოვა. ამ თხოვნით მათ პირველად საფრანგეთს მიმართეს, ხოლო მეორედ - დიდ ბრიტანეთს. ორივე ქვეყნის სასამართლოებმა ქართულ მხარეს ექსტრადირებაზე უარი უთხრეს, მოტივად კი საქმის პოლიტიკური სარჩული დაასახელეს.[274]

2021 წლის 30 სექტემბერს თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, დავით კეზერაშვილისა და ალექსანდრე ნინუას[275] წინააღმდეგ საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღიძრა, „თავდაცვის უწყების მიმართ დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით".[276] ამ ფაქტმა სამოქალაქო სექტორის გამოხმაურება გამოიწვია. გავრცელებული განცხადებებით, არჩევნებამდე 2 დღით ადრე ტელეკომპანია „ფორმულას“ მფლობელის, დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ თავდაცვის სამინისტროს მიერ შეტანილი სარჩელი, შესაძლოა მიმართული ყოფილიყო ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალების საქმიანობისთვის ხელის შეშლისაკენ.[277] ამის პასუხად, სამინისტროს მტკიცებით, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით TV „ფორმულას“ წილის დაყადაღების მოთხოვნა არ დაუყენებიათ იმ საფუძვლით, რომ თავდაცვის უწყება კარგად იაზრებდა დემოკრატიულ ღირებულებებს და სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობას[278].

---

http://liberali.ge/news/view/31220/davit-kezerashvili-dgheistvis-arts-ert-saqmeze-ar-aris-msjavrdebuli [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[271] https://formulanews.ge/News/56117 [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[272] https://cutt.ly/BTVrNqm [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[273] https://www.radiotavisupleba.ge/a/31485910.html [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[274] https://cutt.ly/iTV2h7y [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[275] დავით კეზერაშვილის თავდაცვის მინისტრობის დროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი.

[276] https://cutt.ly/aTVrMlw [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[277] https://tabula.ge/ge/news/673704-kartia-movucodebt-khelisuplebas-telekompania [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021]; https://tabula.ge/ge/news/673674-mshvenieradze-mgonia-tavdatsvis-saministros [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

[278] https://tabula.ge/ge/news/673707-tavdatsvis-saministro-tv-pormulas-cilis [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].

აღსანიშნავია, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ სარჩელის შეტანასთან დაკავშირებით კომენტარი პრემიერ-მინისტრმაც გააკეთა. ღარიბაშვილის თქმით, გაფლანგვის ფაქტი უამრავია, ხოლო „გამოძიება ყველა ამ ფაქტს გასცემს შესაბამის პასუხს“.[279]

10. პოლიტიკური პროცესების გავლენა ადამიანის უფლებებზე

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, რვა ოპოზიციურმა პარტიამ, რომლებმაც 1%-იანი ბარიერი გადალახეს, უნდობლობა გამოუცხადეს არჩევნებს და უარი თქვეს პარლამენტში შესვლაზე.[280] 2021 წლის 1 მარტს საქართველოს ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი ეწვია და წამოაყენა ინიციატივა ოპოზიციასა და მმართველ გუნდს შორის დიალოგის დაწყების შესახებ.[281] მიშელის ვიზიტის შემდეგ ვერ შედგა შეთანხმება, რის გამოც 12 მარტს საქართველოს მიშელის სპეციალური წარმომადგენელი - კრისტიან დანიელსონი ეწვია მედიაციის გამართვის მიზნით. დანიელსონმა შეხვედრა გამართა მხარეებთან მათთვის მისაღები საერთო პოზიციის შესამუშავებლად.[282] შეთანხმების მიუღწევლობის გამო დანიელსონი საქართველოს 28-31 მარტსაც ეწვია და მხარეებს შესთავაზა დეტალური წინადადება,[283] რომლის მიხედვითაც, ოპოზიცია პარლამენტში უნდა შესულიყო, სანაცვლოდ კი უნდა მომხდარიყო ამნისტიის შესახებ კანონის ინიცირება, რომელიც 19-21 ივნისის პროტესტებთან დაკავშირებულ ყველა დარღვევასა და დაკავებას შეეხებოდა, ამასთანავე, გათვალისწინებული იყო პოლიტპატიმრების გათავისუფლებაც. რაც შეეხება საარჩევნო რეფორმას, ადგილობრივი თვითმმართველობის შემდგომი არჩევნებისთვის უნდა მომხდარიყო ბარიერის განსაზღვრა - 2.5%-ით თბილისში და 3%-ით ყველგან თბილისს გარეთ. დოკუმენტი ასევე მოიცავდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეფორმას.[284] ამასთანავე, გათვალისწინებული იყო სასამართლოს ამბიციური რეფორმა. აღნიშნულ წინადადებას, როგორც თავად დანიელსონმა განაცხადა, საბოლოოდ არცერთი პარტია არ დაეთანხმა.[285]

18 აპრილს ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, შარლ მიშელმა მხარეებს ახალი წინადადება შესთავაზა - „სამომავლო გზა საქართველოსთვის“,[286] რომელიც აზუსტებდა დანიელსონის დოკუმენტში შეუთანხმებელ ორ საკითხს - პოლიტიზებულ მართლმსაჯულებასა და ვადამდელი არჩევნების ჩატარებას მმართველი გუნდის მიერ ადგილობრივ არჩევნებში 43%-ზე ნაკლები ხმების აღების შემთხვევაში. აღნიშნულ დოკუმენტს 19 აპრილს ხელი მოაწერა „ქართულმა ოცნებამ“ და ოპოზიციური პარტიების ნაწილმა. შეთანხმებას გარკვეული პერიოდის შემდეგ მიუერთდნენ სხვა ოპოზიციური პარტიებიც. შედეგად, საქართველოს პრეზიდენტმა 27 აპრილს შეიწყალა გიორგი რურუა,[287] ხოლო ნიკა მელიამ

---

[279] https://cutt.ly/TTV2b7X [უკანასკნელად ნანახია 06.12.2021].
[280] https://civil.ge/ka/archives/364360 [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[281] https://www.radiotavisupleba.ge/a/31128148.html [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[282] https://cutt.ly/iTKGD5l [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[283] https://cutt.ly/dTKHEhq [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[284] https://cutt.ly/STKLzK1 [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[285] https://civil.ge/ka/archives/409522 [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[286] https://cutt.ly/LTKCasq [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[287] https://civil.ge/ka/archives/416326 [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].

საპატიმრო დატოვა 10 მაისს ევროკავშირის მიერ გირაოს გადახდის შემდეგ.[288] თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ შარლ მიშელის დოკუმენტში ხაზგასმით იყო ნათქვამი სასამართლო რეფორმის საჭიროებასა და რეფორმამდე მოსამართლეების დანიშვნის შეჩერების შესახებ, პარლამენტმა 12 ივლისს 6 კანდიდატი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად უვადოდ დანიშნა,[289] ხოლო 28 ივლისს, არჩევნებამდე ორი თვით ადრე, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პარტია შარლ მიშელის შეთანხმებიდან გადიოდა.[290]

მიშელის შეთანხმების ცალმხრივი ანულირების შემდეგ ევროკავშირმა მრავალჯერ გააფრთხილა საქართველო, რომ შეჩერდებოდა 75 მილიონი ევროს ოდენობით დაბალსარგებლიანი სესხის გამოყოფა, რაზეც საქართველოს მთავრობამ 31 აგვისტოს სესხზე უარის თქმით უპასუხა, მიზეზად კი სესხის საჭიროების არ არსებობა დაასახელა.[291] მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობამ 21 სექტემბერს აზიის განვითარების ბანკისგან აიღო 100 მლნ. დოლარის ღირებულების სესხი, თითქმის ორჯერ უფრო დიდი საპროცენტო განაკვეთით.[292]

ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა ქვეყანაში შექმნა არასტაბილური გარემო და ყურადღების მიღმა დატოვა კოვიდ-პანდემიის სწორად მართვის საკითხი, რამაც სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენა მოსახლეობის ჯანმრთელობა და ეკონომიკური კეთილდღეობა. გარდა ამისა, შეიქმნა მწვავე პოლიტიკური კრიზისი და შეფერხდა საქართველოს სწრაფვა ევროინტეგრაციისკენ, შეიზღუდა პროტესტის მონაწილეების გამოხატვის თავისუფლება. ამასთანავე, მმართველი პარტიისა და მოსამართლეთა ნაწილის მიერ გაკეთებულ ანტიდასავლურ განცხადებებს მოყვა საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობის საკმაოდ გამწვავება.

[288] https://civil.ge/ka/archives/418808 [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[289] https://cutt.ly/AYhrE7O [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[290] https://netgazeti.ge/news/556482/ [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[291] https://www.radiotavisupleba.ge/a/31437064.html [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].
[292] https://www.radiotavisupleba.ge/a/31475023.html [უკანასკნელად ნანახია 05.12.2021].